# დროება

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 40 შაბათი, 20 თებერვალი 1910 წ. № 40



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციას სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წარმოდგენა № 37. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 37.

კვირას, 21 თებერვალს, 1910 წელს

**ბენეფისი ვლ. ალექსი-მე ხიშვილისა**

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ლევ ტოლსტოისა

**შ ა ვ ი ბ ე რ ი**

დრამა 4 მოქმედებად თარ. ლ. ალექსი-მესხიშვილისა, (ან. ჩეხოვის მოთხრობიდან გადმოკეთებული)

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, ბ. შოთაძე; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, გ. იმხნელი, ი. ივანიძე, ი. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ქიქიძე.

ამ წარმოდგენაზე კონტრამარკები არავის მიეცემა. ბილეთები ვლ. ალექსი-მესხიშვილის უშტემპელოთ ძალასა ჰკარგავენ.

**ადგილების ფასები საბენეფისოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ**

პარასკევს, 26 თებერვალს, ბენეფისი კ. მესხისა. წარმოდგენილი იქნება „ხალხის სიკეთე“ და „სიკვდილი ნაპოლეონისა“. მზადდება: „დღენი ჩვენის ცხოვრებისა“.

რეჟისორი **გ. ალექსი-მესხიშვილი.** რეჟის. თანაშემწე **გ. ურუშაძე.**

**დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

კვირას, 21 თებერვალს, 1910 წელს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ წარმოდგენილი იქნება

**უდანაშაულოთ დამნაშავენი**

კომედია 4 მოქმედებად, ოსტროვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გოგოლაშვილი, თამარაშვილი, ქიქოძე, ციმაკურიძე და შალამბერიძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, ნარი, პეპანოვი, ხახანაშვილი და ზურაბიშვილი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდეა.

შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს 14 მარტს.

რეჟის. **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ლ. ვახვახიშვილი.**

**ქართველ სტუდენტობის საყურადღებოდ**

პეტერბურგის უნივერსიტეტში არსებული

**ქართული სამეცნიერო წრე შეუდგა ქართველ სტუდენტობის ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევად ანკეტის მოხდენას**

ამ აზრით წრემ დაბეჭდა საგანგებო **საანკეტო ფურცელი,** რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს ანკეტა. ეხლა საჭიროა ამ ფურცლის დარიგება. ამისათვის წრე უმორჩილესად სთხოვს ყველა ქალაქის (როგორც რუსეთში ისე საზღვარ-გარეთ) ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციებს (სათვისტომოებს, სამეცნიერო წრეებს და სხვ...), ან თუ ასეთები არ არსებობენ, იმ შემთხვევაში კერძო პირებს, რაც შეიძლება მალე მოგვაწოდონ ცნობები, თუ, დაახლოვებით მაინც, რამდენი ქართველი (განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და სხვ.) სწავლობს ამა თუ იმ ქალაქის ყველა უმაღლეს სასწავლებელში, უნივერსიტეტში, სხვა და სხვა ინსტიტუტებში, უმაღლეს კურსებზე, ლიცეიში, სხვა და სხვა აკადემიებში და სხ.), და თავისი ადრესი.

ამ ცნობების მიხედვით წრე დაჰგზავნის საანკეტო ფურცლებს, საჭ რამდენი იქნება საჭირო. დაწერის შემდეგ ფურცლები ისევ წრეს უნდა დაუბრუნდეს (სასურველია არა უგვიანეს ამა წლის მაისის თვისა).

ადრესი: С.-петербургъ. Университетъ Коллегія Имп. АЛ. II. I. Кипшидзе. (4—2)

**სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში**

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა,** მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—10)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., დღე, 9—11 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—114)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. ვაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**გ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—276)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს სადამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—63

**ექიმი მ. დ ბეთანოვი ქუთაისში,** მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—22)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—121)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—371)

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა** იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—21)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩ ა რ ე ქ ო ვ ი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გაგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—20

**ექიმი გ. მაგაკიანი** **შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიძეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—101)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ს.—105)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—7)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. (100—6.—9)

**დ. ქარელში**

**მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე**

იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ლებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—1)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი შ. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, ბაზერლოვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—30)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**კვირას, 21 თებერვალს,**

12 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის წევრთა

**საზოგადო კრება**

განსახილველი საგნები: გამგეობის მოქმედების ანგარიში, გამგეობის წევრების არჩევნები, ახალ წევრების მიღება და მიმდინარე საკითხები.

ეს კრება მეორედ ინიშნება და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (2—1)


## კიდევ დიდ საქმეზე

ერთ ვაჟბატონს უბრძანებია, რომ ქართული თეატრი, ქართულ ენაზე, მდაბიო ხალხის საკადრისიაო, და ჩვენ კი უფრო რუსულ ენაზე გამართული წარმოდგენები შეგვფერისო.

ამ ნაირ ბრძენ ფილოსოფოსის ფსიხოლოგია ადვილი გასაგებია, მაგრამ თვით ამ ვაჟბატონს, რასაკვირველია, აზრად კი არ მოსვლია ის, თუ ამ ორიოდე სიტყვით რა ცოცხლად და სავსებით ახასიათებდა მთელს მიმართულებას, ჩვენის საზოგადოების ერთ-ერთ კლასის ნამდვილ ფიზიონომიას.

ქართული ენა! რათ უნდათ ამათ ქართული ენა? და ან როგორ უნდა გამოიყენონ იგი, როდესაც არა თუ ენა, მთლად აზროვნებაც კი გადაგვარებული აქვთ. შეისწავლონ? აბა რას ბრძანებთ... იმ დროს, როდესაც მთლად დედამიწა ჰლაპლებდა, როდესაც თავისუფლების ნიავი მოჰქროდა და ალიონი მზად იყო დაეთმო ადგილი ბრწყინვალე მზის შუქისთვის, ისინი სადღაც იმალებოდნენ, ზოგს მათგანს შემთხვევით მზის შუქი მოჰხვდა და თითქოს აამოძრავა, მაგრამ გაჩნდა შავი ღრუბელი, მთლად წამოეფარა ცას და დააბნელა ამომავალი მზე... გამოძვრნენ მაშინ ბნელ სოროებიდან სხვა და სხვა ხვლიკ-მცურავნი, ქამელეონნი. დადგა მათი დრო, დაიწყო მათი მოღვაწეობა. დროა და უნდა ისარგებლონ. წყალი ტალახად მოდის, თევზი ბლომად ირევა. სხვის ოჩხშიაც რომ ხელი ჩაჰყო, ბნელი ღამეა, ვერავინ დაგინახავს, ვერავინ დაგიშლის, ისარგებლე წუთით, ვინ იცის, ხვალ რა მოგელის...

ამ დროს მოდი და რისამე სწავლას შეუდექი, მოდი და მუდმივ, მძიმე და სხვისთვის არა თვალ-საჩინო საქმეს მიჰყავი ხელი.

ქართული ენა! რას მოგცემს ეს ენა, რითი დაგაჯილდოვებს? რა ქება და დიდება მოგელის აქ, რომ ამისთვის ასეთი მარჯვე დრო დაჰკარგო? სულ სხვაა იქ, სადაც ასპარეზი მზათაა, გზა გაკვლეულია, სადაც ენა, აზროვნება, მადა, მისწრაფება ჩვეულებრივია, სადაც თუ არას შეიძენ, არც არას დაჰკარგავ, და თუ ბედმაც გაგიღიმა... ბურთი და მოედანი შენ დაგრჩენია.

ქართული ენა! დეე, ჰქონდეს იგი და ისარგებლოს მდაბიო ხალხმა. დეე, იმუშაონ იმის განვითარებისთვის, აყვავებისთვის იმ ვიღაც ოცნებით გატაცებულმა ფანტაზიორებმა, რომელნიც სადღაც მშიერნი, მწყურვალნი ოფლსა ჰღვრიან და სისხლით სწერენ ქართულ ენაზე. ეს „შავი“ მუშაობა მათი ხვედრია, და თუ რასმე გახდებიან, მოგებიდან ჩვენც გვერგება, და თუ არა ბრალი ხომ ჩვენ არ დაგვედება. პირიქით, დაცინვის ნებაც მოგვეცემა... ჩვენ სადა გვცალიან ამ შრომისთვის. ჩვენ „მაღალ დიპლომატიურ“ საქმეს მივსდევთ, ჩვენ „რეალურ პოლიტიკას“ ვადგევართ, და თუ „მომენტი“ მოითხოვს დღეს იმას შევაფურთხებთ რასაც გუშინ თაყვანს ვსცემდით... და მართალი თუ გნებავთ, მათ არა თუ არა სჭირიათ ქართული ენის შესწავლა და არც ეხერხებად იგი, არამედ ამ გვარი შრომა, შრომა სისტემატიური, დაკვირვებითი მათვის ორგანიულად შეუძლებელია.

არ უნდა დავივიწყოთ ის, თუ მომეტებული ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა სად და როგორ აღზრდა-განათლებას იღებს. როგორ და რა გზით ვითარდება იგი. კარგად ვიცით, რომ გადაგვარებისა და გადაფეროვნების გარდა, დღევანდელი სკოლა, საშუალო თუ უმაღლესი, იმნაირად არის მოწყობილი, რომ ბევრ უსაფუძვლო და ზეზეურ ცოდნასთან კაცს სწორედ იმას არ აძლევს, რაც ყოველ სკოლის პირდაპირი დანიშნულებაა, ე. ი. სისტემატიურ, მუდმივ და დაკვირვებით შრომის უნარს. და რა გასაკვირველია, რომ ამგვარად აღზრდილი ინტელიგენტი სწორედ იმ გზას ირჩევს, სადაც ცხოვრება ვიწრო და გარკვეულ კალაპოტშია ჩაყენებული, სადაც მზადაა მისი ფორმულები და სადაც აწმყო პირობებთან შეთანხმების ნიჭი უმთავრესი ფაქტორია. ეს უკანასკნელი, საზოგადოდ, მთელი რუსეთის ინტელიგენციის მომეტებულ-ნაწილის თვისებაა, მაგრამ რაც შეეხება ამ გვარსავე ნაწილს ჩვენის ინტელიგენციისას, აქ ეს თვისება უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოიხატება. ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი, გადაგვარებული, ხშირად უპრინციპო ეს უკანასკნელი უფრო მოკლებულია ინიციატივას, ენერგიას და უფრო ეტანება ადვილად გასავლელ გზას, გაურბის მძიმე, მაგრამ ნაყოფიერ მუშაობას.

ვგონებ ამითი აიხსნება ამ გვარ ინტელიგენციის „გაჩინოვნიკება“, და თვით იმ ტიპების წარმომოშობა, რომელნიც „ფუტლიარის კაცს“ (ჩეხოვი) მოგვაგონებენ. რისთვის ესაჭიროებათ ამათ ქართული ენის შესწავლა და განვითარება, სადაც დიდი შრომა და მხნეობაა საჭირო, სადაც ბევრჯელ გზა გამოუკვლეველია? რისთვის, როდესაც მზათაა რუსული ენა, როდესაც ყალიბი ჩამოსხმულია, კალაპოტი გაკეთებული, ნაკაფი სწორე და ადვილად სავლელი? რისთვის იტკიონ თავი, რისთვის დაჰკარგონ დრო? არა, მათი „რეალური პოლიტიკა“ ამას არ მოითხოვს.

ნუ კი გეგონებათ, რომ მათ პრინციპები არა სწამთ: შეეკითხეთ და ისეთს ჰტყელ-ჰტყელ სიტყვებს გადმოისვრიან, რომ გაჰკვირდებით. მაგრამ დააცქერდით და დაინახავთ, რომ მათვის პრინციპი იგივე „ფუტლიარია“, არ შესისხლხორცებული მათ სხეულთან, და სტოვებენ ერთ „ფუტლიარს“ მარტო იმისთვის, რომ მეორეში გადავიდნენ. „ფუტლიარი“ ხომ ადვილი გამოსაცვლელია. მაგრამ მათდა საუბედუროდ ცხოვრებას „ფუტლიარების“ და კალაპოტებისა ბევრი არა სწამს-რა. იგი სდუღს, ფართოვდება, ამტვრევს „ფუტლიარებს“, შორდება კალაპოტებს...

ეროვნული გრძნობა ჩვენში თანდათან ვითარდება და მკვიდრ ნიადაგზე დგება. მართალია, დღეს ჩვენ ამ მხრივ დიდ კრიზისს განვიცდით, მაგრამ სწორედ ეს კრიზისია მაჩვენებელი, რომ ეროვნული საკითხი დღიურ საკითხად გადაიქცა. ზემოხსენებულ მოღვაწეებს „ფუტლიარები“ ველარ უშველიან, კალაპოტები უკვე დამტვრეულია, რა ჰქნან, საით გადაიწიონ? ვის მიეკედლნენ? გატკეცილი გზები, ადვილად სავლელი ნაკაფები „ხაზეინებმა“ იგდეს ხელთ და დაუპატიჟებელ სტუმრებს კარს უჩვენებენ, გინდაც რომ ამ უკანასკნელებმა თავიანთი მართლთ-მორწმუნოება სავსებით აღიარონ... დაგვიბრუნდნენ ჩვენ? მაგრამ რა დახვდებათ აქ? შავი პური, ოფლი და შრომა. ამას კი შეჩვეულნი არ არიან...

რას იზამთ ყვავსაც სწორედ ასეთი ამბავი დაემართა, როდესაც ფარშავანგის ფრთები შეისხა, მაგრამ ფარშავანგებმა არ მიიღეს და ყვავებსაც ველარ დაუბრუნდა. ან და როგორ დაუბრუნდებოდა? ფრთები დაეგლიჯა? მაგრამ უკვე ხორცსა და ძვლებში გამჯდარან და მათ მოშორებას დიდი წვალება და მოთმინება სჭირია... და სწორედ ეს არ შესწევს იმ ყვავს.

ასეთია სწორედ საქმე რუსულ „ფუტლიარებში“ ჩამჯდარ ქართველებისა და მათი შესაფერი ღვაწლიც რუსულ ასოებით დაბეჭდილი ქართული გაზეთებია.

ნუ ბეჭდავთო! კარგი საქმეა, თქვენმა მზემ! მაშ რა გააკეთონ? სულ ერთია, რომ ქარის წისქვილს უთხრათ, ნუ ბრუნავ საითაც ქარი ჰქროლავსო. მაშ რა ჰქნას? შესდგეს, გაჩერდეს? რითი იცხოვროს? იბრუნოს ქარის წინააღმდეგ? ჯერ ერთი, ვერ შესძლებს და თუ მოიწადინა, ქარი სწრაფად დაამტვრევს. მისი უმთავრესი თვისებაა—იბრუნოს იქით, საითაც ქარი ჰქრის.

დონკიხოტობა, როგორადაც იდეისთვის ბრძოლა, პრინციპებისთვის თავის დადება დიდად პატივსაცემია, მაგრამ როდესაც იგი მარტო ქარის წისქვილებთან ბრძოლაში გამოიხატება, ძალების ტყუილი კარგვაა, მით უმეტეს რომ ვერას გამოვრჩებით. არ გეგონოთ, რომ კიდეც მოისპოს უცნაურ გაზეთების ბეჭვდა, ის ძალები, რომელნიც ახლა ამ საქმეს უნდებიან, ჩვენ დაგვიბრუნდნენ. ოცნებაა! არა, სამუდამოდ გამოვემშვიდოთ მათ. მარჯვნივ, ბატონებო, მარჯვნივ! უკვე ერთი ფეხი გადასდგით, და ნუ სტოკავთ, მიბრძანდით! **სოსო.**

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**შეკითხვა.**

18 თებერვალს სათათბირომ განიხილა წინა დღეს შეტანილი შეკითხვა „ნოვოროსისკის რესპუბლიკის“ საქმის შესახებ. შეკითხვაში აღნიშნულია უკანონო მოქმედებანი გუბერნატორის ბერეზნიკოვისა, სამოსამართლო პალატის თავმჯდომარის ხლოდოვსკისა და გამომძიებლის ლიჟინისა. სათათბიროს ამ დღეს უნდა გადაეწყვიტა—იცნოს თუ არა სასწრაფოდ შეკითხვა.

**გეგეჭკორიმ** (ს. დ.) დაასაბუთა შეკითხვა და, აღნიშნა ის უკანონობანი, რომელიც ჩაიდინეს ბერეზნიკოვმა, ხლოდოვსკიმ და ლიჟინმა. მოიყვანა აგრეთვე სამხედრო სასამართლოს დადგენილება. ამ დადგენილებაში ნათქვამია, რომ უმაღლეს მთავრობას ეცნობოს უკანონო მოქმედებანი ბერეზნიკოვისა და ლიჟინისაო. გეგეჭკორიმ სთქვა: 22 მარტს ეს საქმე მესამედ უნდა განიხილონ. შეიძლება სამხედრო მოსამართლეებმა, რომელთაც იციან, რა დღე დაადგათ წინა მოსამართლეებს, სიკვდილი გადაუწყვიტონ უდანაშაულო ხალხსაო.

**თავ. კურაკინმა.** (ოქტომბრისტი) ურჩია სათათბიროს, ძალა არ დაატანოს სასამართლოს და ნება მისცეს დამოუკიდებელი განაჩენი გამოიტანოსო. ესე იგი, ორატორის აზრით, სათათბირო არ უნდა ჩაერიოს ამ საქმეში.

**ტიმოშკინი.** (მემარჯვენე). სიხარულით ვეგებები ამ შეკითხვას. იგი სასწრაფოდ უნდა იქნას ცნობილი. ამით შეძლება მიეცემა რუსის საზოგადოებას გაიცნოს სხვა და სხვა რესპუბლიკები, კავკასიაში დაარსებული, და გაიგოს, რა უმოქმედებას იჩენდნენ მთავრობის წარმომადგენელნი.

**პოლოვცევიც** (ნაციონალისტი) სიხარულით მიეგება შეკითხვას. ამით გამოირკვევა სამხედრო სასამართლოების უმოქმედება კავკასიაშიო. კავკასიაში იმასაც ფიქრობენ, რომ ამ სასამართლოებს კავშირი აქვთ ტერორისტულ აქტებთანაო.

სათათბირომ უარ-ჰყო შეკითხვის სისწრაფე.

**ბიუჯეტი.**

სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის მიღების შემდეგ სათათბირო შეუდგა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადო ნაწილის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

**მომხსენებელი თავ. გოლიცინი.** სათათბირომ შარშან რამდენიმე სურვილი გამოსთქვა. სამინისტროს ორი სურვილი შეუწყნარებია, ხოლო ხუთი უყურადღებოდ დაუტოვებია. სათათბირომ, მაგალითად, გამოსთქვა სურვილი შემცირდეს გენ.-გუბერნატორთა რიცხვი და სხვა. სასურველია, სამინისტრომ ეხლა მიაქციოს ყურადღება სათათბიროს აზრს. სხვათა შორის უნდა დაევალოს სამინისტროს, რაც შეიძლება მალე წარმოადგინოს კანონ-პროექტი პოლიციის რეფორმის შესახებ. ეს ძალიან საჭიროა: პოლიციის წყალობით დიდი უწესოებაა რუსეთში. დამცველ პოლიციის მოქმედება საზღვარს გადასცდა; არად აგდებენ პიროვნების ხელ-უხლებლობას, სასამართლო პალატების მიერ გამართლებულ ხალხს ადმინისტრატიულ წესით ასახლებენ, პოლიციელნი კერძო სახლებს ესხმიან და სხვა მრავალ უკანონობას სჩადიან. მომხსენებელმა მოიყვანა კერძო პირთა, დიდ მოხელეთა წერილები. ერთი დიდი მოხელე მისულა თავის დასთან, მოსწავლე ქალთან. შეკრებილან ამხანაგები, მაგრამ ამ დროს შევარდნილა პოლიცია და შეკრებილნი დაუპატიმრებია. ხარჯთაღრიცხვით შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადადებულია 96 მილიონი და 402,440 მანეთი. საბიუჯეტო კომისიას ეს თანხა მხოლოდ 583,362 მანეთით შეუმცირებია. დიდი ფული იხარჯება „სხვა და სხვა პოლიციურ საჭიროებაზე, რომლის ანგარიშსაც სამინისტრო სათათბიროს არ უდგენს. შეამცირა სათათბირომ ხარჯი „პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფთა“ შესანახადაც, მით უმეტეს სათათბირომ უკვე გამოსთქვა წინად სურვილი, რომ გაუქმებულ იქმნას ადმინისტრატიულის წესით ხალხის გადასახლებაო.

**მინისტრის ამხან. კრიჟანოვსკიმ** სთქვა: სამინისტრო თანახმაა გამოკლებულ იქმნას აღრიცხვიდან შემდეგი ფული: 91,672 მან., გადადებული სტრაჟნიკების შესანახად, 391,988 მანეთი, გადადებული „პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფთა შესანახად“, აგრეთვე ის ფული, რომელიც ვილნოს და მოსკოვის გენერალ-გუბერნატორისთვის არის გადადებული.

**მაკლაკოვი** (კადეტი). დღევანდელი საზოგადო პოლიტიკა მთავრობისა უმთავრესი ბოროტებაა რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა. რევოლიუცია ეგზამენი იყო საზოგადოებისთვის, ხოლო რეაქცია-მთავრობისთვის. 1905 წელს მთავრობა ათას რამეს დაჰპირდა საზოგადოებას, მაგრამ მთავრობამ არაფერი არ აასრულა. მთავრობა და საზოგადოება ეხლა გადაკიდებულნი არიან: მთავრობა სდევნის პრესსას, კავშირებს, ადმინისტრატიულად ასახლებს ხალხს და სხვა. ვერც მესამე სათათბიროს ექცევა კარგად. სათათბიროს უნდოდა მხარი დაეჭირა მთავრობისთვის: ამ უკანასკნელს რომ თავისი მოვალეობა შეეგნო და ნორმალური წესი დაემყარებინა, საზოგადოებას საოპოზიციო იარაღს გამოჰგლეჯდა ხელიდან, რევოლიუციას მოჰკლავდა და ჩაქრობა ამ რევოლიუციისა საჭირო აღარ იქნებოდა. ყველა ამის გამო სათათბირომ უნდა გაჰკიცხოს მთავრობის პოლიტიკა იმიტომ კი არა, რომ მთავრობა გონს მოიყვანოს, არამედ იმიტომ, რომ სათათბიროს ხალხში ნდობა მოუპოვოს.

**ბულატმა** (ტრუდოვიკი) მოუწოდა ცენტრს, ტრუდოვიკებთან ერთად სთქვას: „ჩვენ ვერ გადავდებთ ფულს მთავრობის პოლიტიკის განსამტკიცებლად(?)“. ორატორი უმთავრესად პოლიციას შეეხო: იგი უდანაშაულოებს იჭერს, ხალხს აშინებს, ცრუ-მოწმობას ავრცელებს სასამართლოებში და სხვა. სოფლებში სრული უუფლებობაა; დახშულია თვითმოქმედება და ინიციატივა. ასევეა ქალაქებში: ხურავენ პროფესიონალურ კავშირებს, არ აძლევენ ნებას უბრალო ლექციებისას. პოლიტიკური მკვლელობანი, მთავრობის სიტყვით, ძალიან შემცირდა, მაგრამ არ შემცირდა სიკვდილით დასჯა. ყველა ამისთვის პასუხის-მგებელია ცენტრი, რომელმაც კავშირი შეჰკრა მთავრობასთან. მაგრამ მალე დადგება შურის-ძიების დღე: ხალხი მარტო არ იქნება, მას ჯარიც მხარს დაუჭერს!

**მარკოვი მეორე** (მემარჯვენე). ბულატი სცდება: რუსის ხალხი და ჯარი არასოდეს არ დაუჭერს მხარს სტენკა რაზინებს. თუ რუსის საიმპერატორო ჯარი ფეხზე დადგა, ყველა ამ სტენკა რაზინებს სახრჩობელაზე ჩამოჰკიდებსო. შემდეგ ორატორი შეეხო სათათბიროს მიერ გამოთქმულ სურვილებს. ეს სურვილები სავალდებულო არ არის მთავრობისათვის. მთავრობამ ანგარიში მარტო კანონს უნდა გაუწიოს. აქა სთქვეს, გენერალ-გუბერნატორებისთვის საშტატო ჯამაგირი დააწესეთო. ეს შეუძლებელია. გენერალ-გუბერნატორებს განსაკუთრებული დანიშნულება აქვთ და განსაკუთრებული ჯამაგირიც უნდა ჰქონდეთ. ისეთი კაცები, როგორიც მურავიოვი იყო, ხშირად არა ჩნდებიან. მათ მაშინ მოიწვევენ ხოლმე, როცა ჩამოსახრჩობია საფრანგეთის რევოლიუციის იდეალებზე აღზრდილი ხალხი. პოლიციის რეფორმა იმ მხრივ შეიძლება მხოლოდ, რომ პოლიციის რიცხვი გადიდდეს და პოლიციელებს ჯამაგირი მოემატოთ. მომხსენებელს ტყუილადა ჰგონია, რომ რუსეთში მშვიდობიანობაა. რუსეთი გადამავალ ხანაშია და სახელმწიფოს დაცვა საჭიროა. მაკლაკოვს ჰგონია, მთავრობას შეუძლიან კონსტიტუცია მოგვცესო. კონსტიტუციის მოცემა შეუძლიან ხალხს, რომლის წარმომადგენელიც არის სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი ხელმწიფე იმპერატორი. შემდეგ ორატორი შეეხო ლევ ტოლსტოის. ლევ ტოლსტოი დაწყევლილია, ეკლესიიდან განდევნილი, და რუსის ხალხი თანაუგრძნობს ამას. ტოლსტოი რუსის ხალხის თვალში ბოროტ-მოქმედია. რუსის ინტელიგენციისა და ხალხს შორის მთელი უფსკრულია, პირველის იდეალი რევოლიუციაა, მეორის — თვით-მპყრობელობა. დაიღუპოს რევოლიუცია, გაუმარჯოს თვით-მპყრობელობას!

ილაპარაკა გოდნევმაც.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 თებერვალი.

**საზღვარ-გარედ.**

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. ილაპარაკა კრამარჟმა. მან, სხვათა შორის, სთქვა: სლავიანების კავშირი მხარს არ დაუჭერს ბიუჯეტს და საფინანსო საკითხებს. სანამ მთავრობა მართველობის სისტემას არ შესცვლის, სლავიანები ისევე მოიქცევიან, როგორც აქნობამდის იქცეოდნენ. მისაყვედურებენ რუსეთში წასვლას და სლავიანთა კრებაზედ დასწრებას. ვიმეორებ, რომ ჩეხებს მარტო ჩეხური პატრიოტიზმი მოეთხოვებათ. ჩეხებს ვერ მოსთხოვთ ავსტრო-ჰუნგრეთულ პატრიოტიზმს. ჩეხები რომ არა, ავსტრია აქნობამდის გერმანიას დაემორჩილებოდა. ჩვენ არა გვსურს, რომ ავსტრია გერმანიად გადაიქცეს, არც ის გვსურს, რომ ავსტრია სლავიანების სახელმწიფოდ გახდეს. ეს უკანასკნელი გარემოება ხელს შეუშლიდა აღმოსავლეთ-დასავლეთის სლავიანების დაკავშირებას და მათ შორის შუღლს ჩამოაგდებდა. მთავრობა უნდა სცდილობდეს, რომ მისი პოლიტიკა თვითმკვლელობის პოლიტიკა არ იყოსო. ავსტრია რომ სლავიანებს სამართლიანად ექცეოდეს, მას ბოსნია-ჰერცოგოვინას კრიზისი ასე ძვირად არ დაუჯდებოდა: მაშინ პატარა სერბია დიდი კულტურის მქონე ავსტრიაზედ ძლიერ არ მიიზიდავდა ბოსნია და ჰერცოგოვინას მცხოვრებლებს.

ზედა-პალატამ საბოლოოდ მიიღო კანონ-პროექტი ახალ ჯარის-კაცთა გაწვევის შესახებ. რამდენიმე ორატორი შეეხო რუსეთ-ავსტრიის მომავალ დაახლოვებას. ყველა ორატორები მომხრენი აღმოჩნდნენ ასეთი დაახლოვებისა. გრაფ ლატურის სიტყვით ყველა ავსტრიელი მოხარული იქნება ამ დაახლოვებისა, რადგან ეს დაახლოვება ხელს შეუწყობს მშვიდობიანობის დაცვას და ბალკანეთის საქმეებს მოაწესრიგებს. ავსტრიის და რუსეთის დაახლოვება მხოლოდ მაშინ არის სასურველი, თუ რუსეთი საქვეყნოდ აღიარებს, რომ ავსტრიას ბალკანეთზედ ტერიტორიის შეძენა არ უნდა და თუ ეს შეკავშირება ისეთ პოლიტიკას აწარმოებს, რის დროსაც ბალკანეთის სახელმწიფოები დარწმუნდებიან, რომ მათი საქმეები რევოლიუციონურის გზით და ინტრიგების საშუალებით კი არ მოწესრიგდება, არამედ სახელმწიფოების მფარველობით და დახმარებით. დასასრულ ლატური შეეხო ავსტრია-გერმანიის კავშირთა და განაცხადა, რომ ეს კავშირი მშვიდობიანობის ერთი დედა ბოძთაგანია და ყველა ავსტრიელი ხელს უნდა უწყობდეს გერმანიასთან უფრო მტკიცედ დაკავშირებასაო. რუსეთთან დაახლოვების მომხრე აღმოჩნდა აგრეთვე პოლონელი დეპუტატი პინინსკი, მხოლოდ იმ პირობით კი, თუ ავსტრიის გარეშე პოლიტიკა სრულიად არ შეიცვლება.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. საზღვაო უწყებისთვის დამატებით კრედიტის გადადების შესახებ კამათის დროს საადმირალოს ლორდმა მაკკენმა ხელმეორედ განაცხადა, მთავრობის საზღვაო პროგრამმით ინგლისმა 1912 წლის 18 მარტისთვის ოთხი ახალი „დრედნოუტი“ უნდა შეიძინოს. მთავრობამ უკვე მიიღო საჭირო ზომები, რომ ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანოსო. პალატამ დაამტკიცა საზღვაო უწყების ხარჯთ-აღრიცხვა.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ (446 ხმით წინააღმდეგ 65) დაამტკიცა 1910 წლის ხარჯთ აღრიცხვა.

**პარიზი.** ტულონში, საზღვაო უწყებაში აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედების გამო პარიზში გაჩხრიკეს ხუთი მოიჯარადრე. თავი მოიკლა ერთი დაპატიმრებულის ნათესავმა, რომელიც ჩვენების ჩამოსართმევად დაიბარეს.

გაზეთ „მატენ“-ში დაბეჭდილია ნაციონალისტების ლიდერის გოტიე-დე-კლანიის წერილი. ნაციონალისტების ლიდერი სწერს, პარტიაში არავითარი დისციპლინა არ არის, საპარლამენტო მუშაობამ არაფერი მოიტანა და ეს არის მიზეზი, რომ მომავალ არჩევნებში ჩემი კანდიდატურის წამოყენებაზედ უარი განვაცხადეო. ამ რამდენიმე კვირის წინად ასეთივე შინაარსის წერილი დასტამბა ნაციონალისტების მეორე ლიდერმა ლაზიესმა.

**ბუდაპეშტი.** საერო განათლების მინისტრად დაინიშნა გრაფი იოგან ზიჩი.

**ფილადელფია.** მუშათა ორგანიზაციების ცენტრალურმა კავშირმა დაადგინა მხარი დაუჭიროს ტრამვაის გაფიცულ მუშებს და პარასკევს გაფიცვა გამოაცხადოს. ორგანიზაციის მეთაურები ირწმუნებიან, გაფიცვას 100,000 კაცზედ მეტი მიემხრობა, თუ ტრამვაის გამგეობა სამედიატორო სასამართლოს არ დასთანხმდაო.

**კაზამბლანკი.** 16 თებერვალს უედკრემუსსთან გენერალ მუანიეს რაზმი მოულოდნელად თავს დაეცა რამდენიმე სოფელს. ერთ-ერთ სოფელში აღმოაჩინეს ლეიტენანტ მოსმკვლელები. სოფლელებთან შეტაკების დროს ფრანგებს მოუკლეს ორი, დაუჭრეს 13 კაცი. სოფლელების ზარალი დიდია.

**ხარბინი.** ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა რუსეთის ელჩს შეატყობინა. ჩინეთის მთავრობას საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რომ გირინის და ხეილუნცზიანის პროვინციებიდან ხორბალი და ცერცვი გაიტანონ, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ნებას ვერავის მივცემთ რომ ამ პროვინციებიდან გოლიანი და ფეტვი გაიტანონო.

**სალონიკი.** მონასტერში შეიკრიბა ექვსი საოლქო მიტროპოლიტი. მიტროპოლიტებმა მსჯელობა იქონიეს მსოფლიო პატრიარქსა და სინოდს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაზედ. პატრიარქს და სინოდს უთანხმოება სინოდის ახალ წევრის დანიშვნაზედ მოუვიდათ. მიტროპოლიტებმა დაადგინეს მხარი დაუჭირონ სინოდს.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. ინდოეთის საქმეების სტატს-სეკრეტარმა მონტაგიუმ განაცხადა, საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ტიბეტის ადმინისტრაციის შეცვლა რაიმე გავლენას იქონიებს ტიბეტის და ინდოეთის დამოკიდებულობაზედა.

**პეკინი.** რუსეთის ელჩმა ჩინეთის მთავრობას გადასცა ნოტა ცზინ-ჯოუ-აიგუნის რკინის გზის შესახებ. რუსეთის ელჩი ჩინეთის მთავრობას ატყობინებს: რუსეთი თანაუგრძნობს და ხელს შეუწყობს ჩინეთს, რომ რკინის გზები ჩინეთში უცხოელებმა გაიყვანონ, მხოლოდ იმ პირობით კი, თუ ამითი რუსეთის საზღვრები და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ინტერესები უზრუნველყოფილი იქნებიან. რუსეთი მზადაა ცზინ-ჯოუ-აიგუნის რკინის გზის მაგიერ, რომელიც მის ინტერესებს არღვევს, გაიყვანოს კალგან-ურგა-კიახტას რკინის გზა. რუსეთი მზადაა მონაწილეობა მიიღოს იმიერ-ბაიკალის ლიანდაგის გაყვანაში. ეს ლიანდაგი კიახტამდე იქნება გაყვანილი და შეუერთდება რუსეთის რკინის გზებს. რუსეთი ჰფიქრობს, რომ უცხოელ კაპიტალისტებს პოლიტიკური მიზნები კი არ აინტერესებთ, არამედ ეკანომიური, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ დაინტერესებული მთავრობები და ბანკების სინდიკატები თანაგრძნობით მოეკიდებიან ამ ახალ პროექტს, მით უმეტეს რომ ეს პროექტი ჩინეთმა დეტალურად შეიმუშავა და კაპიტალისტებისათვის უფრო სახარბიელოაო.

### ჰაერში ფრენა

**კიევი.** ჰაერში ფრენის საზოგადოება საერთო ჰაეროპლანს აშენებს. საზოგადოების რამდენიმე წევრი განსაკუთრებით სამ ჰაეროპლანს აშენებს. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან არსებული ჰაერში ფრენის ჯგუფი შეუდგა ჰაერო-პლანის აშენებას.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. 17 თებერვალს კამათის დროს ზოგიერთმა დეპუტატებმა განაცხადეს, საჭიროა, რომ ფრიდრიხსგაფენში გრაფ ცეპპელინის ხელმძღვანელობით ჰაეროსტატების გამოსაცდელი სადგური აშენდესო. დეპუტატების აზრით ჰაერში ფრენის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს და გერმანია ამ მხრივ არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა ჩამორჩეს. მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, მთავრობა პრინციპიალურად წინააღმდეგია ასეთი სადგურის აშენებისა, რადგან სადგური დიდ ხარჯს მოითხოვსო. მაგრამ ეს საკითხი უყურადღებოდ არ არის დატოვებული და მოკავშირე სახელმწიფოები სერიოზულად იმუშავებენ ამ საკითხსო. პალატამ ერთხმად მიიღო წინადადება ჰაეროსტატების სადგურის აშენების შესახებ.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** სამინისტროს კრიზისი მშვიდობიანად თავდება. მინისტრები თავ-თავიანთ ადგილებზედ რჩებიან. მინისტრები დეპუტატებთან ერთად ყოველ დღე კრებებს მართავენ და სამინისტროს პროგრამას იმუშავებენ.

### რ უ ს ე თ ი

**ბაქო.** სომხის სახლში, აფეთქების შემდეგ, იპოვეს ნავთის და ბენზინის ჰურჰელი. 7 ბავშვიდან, რომლებიც ალში გახვეულ სახლიდან გამოიყვანეს, სამი უკვე გარდაიცვალა.

**ვორონეჟი.** ოლქის სასამართლო შეუდგა 40 კაცის საქმის გარჩევას. ბრალდებათ ვორონეჟში 1905 წელს ებრაელების აწიოკება. მოწმეებად გამოწვეულია 119 კაცი.

**პეტერბურგი.** კოკჩეტავის მაზრაში (აკმოლინის ოლქი) გაძლიერებული წესები დარჩება 21 აგვისტომდე, ალექსანდროვსა, კოვროვსა და მათ მაზრებში 4 სექტემბრამდის.

**ჰელსინგფორსი.** გენერალ-გუბერნატორმა ზეინმა წირვის შემდეგ ხელმწიფე-იმპერატორის სახელით გახსნა სეიმი. გენერალ-გუბერნატორის მისალმების შემდეგ სეიმის თავმჯდომარემ წარმოსთქვა: „სეიმის სახელით უქვეშევრდომილეს გრძნობებს უცხადებს მათ იმპერატორობითი უდიდებულესობას ხელმწიფე-იმპერატორ დიდ მთავარს“. შემდეგ გენერალ-გუბერნატორმა რუსულად წაიკითხა სია იმ წინადადებისა, რომლებიც სეიმმა უნდა განიხილოს.

**ბელგრადი.** 23 მარტს პეტერბურგში ჩამოვა სერბიის მეფე პეტრე. მეფეს თან ახლდებიან მინისტრ-პრეზიდენტი, გარეშე საქმეთა მინისტრი და ამალა.

**პეტერბურგი.** სამთო ინსტიტუტის დირექტორთა მოვალეობის დროებით აღმასრულებლად დაინიშნა აკადემიკი ჩერნიშევი.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა ექვსი კაცის საკასაციო საჩივარი. ბრალდებოდათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობა და ასაფეთქებელ მასალათა შენახვა და მომზადება, რისთვისაც მოსკოვის სამხედრო სასამართლომ ექვსთავეს სხვა-და-სხვა ვადით კატორგა მიუსაჯა. მთავარმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა საკასაციო საჩივარი, მხოლოდ სტუდენტ კრასკოვს ექვსი წლით კატორგა სამ წლამდე და რვა თვემდე შეუმცირა.

**მოსკოვი.** მოასვენეს განსვენებულ კომისარჟევსკაიას გვამი. სადგურზედ მატარებლის მოსვლის დროს აუარებელი ხალხი შეიკრიბა. განსვენებულის კუბო 50 გვირგვინით შეამკეს. ახალგაზრდობამ განსვენებულის გვამი ხელით ნიკოლოზის სადგურზედ მიასვენა, სადაც პანაშვიდი გადიხადეს. საღამოს $9^{1/2}$ საათზედ მიცვალებული მატარებლით პეტერბურგში წაასვენეს.

# სასარგებლო მოღვაწეობა

(სიტყვა, თქმული „ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობის გამო ხონის წმ. გიორგის ტაძარში).

ღვთაებრივმა მოძღვარმა ჩვენმა, იესო ქრისტემ, გვასწავლა ჩვენ: „არა პურითა ხოლო სცხონდების კაცი არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელიც გამოვალს პირისაგან ღმრთისა“. ორი ათას წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები წარმოითქვა, და აქამდის ვერ შეუთვისებია ბევრს მათი აზრი და ვერ მოუხერხებია კანონად გაიხადოს ეს სიტყვები თავის ცხოვრებაში. ყოველ კაცს ედება ეს ბრალი, მაგრამ სხვათა შორის ჩვენ, ქართველებს, უფრო მეტი ბრალი გვედება—ბევრს გავუსწარით წინ ქრისტეს მოძღვრების შეუსმენლობაში. რა არის ცხოვრება სიტყვითა ღვთისათა? როგორ უნდა გვესმოდეს? ეს სიტყვები მოითხოვს ადამიანისაგან მისი სულისა და გულის გაწმენდას ანგარებისაგან და საზოგადოთ იმისთანა გრძნობისაგან, რომელიც ამცირებს მის ღირსებას და ამსგავსებს მას პირუტყვს. პირუტყვი ხომ ბედნიერია მხოლოდ თავის სხეულის კმაყოფილებით. იგი ეძებს მხოლოდ სასმელ-საჭმელს: როდესაც იშოვის მას, გაძღება და დაიძინებს; რომ გამოიღვიძებს, კიდევ შიმშილს იგრძნობს და ხელ-ახლა შეუდგება კუჭის საქმეს. ასე მიდის მისი დღე და სოფელი. სწორედ ამისთანა პირუტყვსა ჰგავს კაცი, რომელიც მუდამ თავის სარგებლობაზე ჰფიქრობს და იმის ძიებაშია. იმისთვის არ არსებობს არც მამული, არც საზოგადოება. ქვეყნის ბედ-იღბალი, ხალხის გაჭირვება მას არ აწუხებს. რომ ჰკითხოთ ამისთანა კაცს, რა სარწმუნოებისა ხარო, იგი ამაყად გეტყვის: „რა სარწმუნოებისა ვარ და ქრისტიანი“. მაგრამ ამაოა ლიტონი სიტყვა! „სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს“. ნამდვილი ქრისტიანები მაშინ ვიქნებით, თუ იმ გზას დავადგებით, რომელიც მაცხოვარმა გვიჩვენა, და მის მაგალითს მივბაძავთ. მან თავი შესწირა კაცობრიობისათვის, და, თუ ჩვენ ის გვრწამს, მარტო ჩვენს კუჭზე კი არ უნდა ვზრუნავდეთ,—არა, სხვებისთვისაც უნდა ვაკეთებდეთ რასმე კარგს. თუ სხვისი პირი საკუთარ პირად გვაქვს მიჩნეული და შეძლებისა-დაგვარად არ გვშურს მისთვის წამლის დადება, მაშინ ჩვენის მოქმედებით ვამტკიცებთ ჩვენ სიყვარულს მოძმისას; ეს სიყვარული აგვამაღლებს ღვთისადმი და ცხონებული ვიქნებით სიტყვითა ღვთისათა. აბა დავუგდოთ ყური ამავე დიდებული მოძღვრის უუდიდეს მცნებას: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

პირველად ყოვლისა, რასაკვირველია, მოყვასის სიყვარული, თუ კი გვაქვს იგი, უნდა გამოვიჩინოთ იმათ შორის, ვინც გარს გვარტყია, იმ ხალხისათვის, რომელმაც გვშვა და გაგვზარდა. ყოველ ჩვენთაგანს, დიდსაც და პატარას, მდიდარსაც და არა-მდიდარს, — ყველას შეუძლია გასწიოს ეს სამსახური. ამ საქმეს თითოეულმა უნდა შესწიროს ის და იმდენი, რამდენიც შეუძლია: მდიდარმა — მეტი, ღარიბმა — ცოტა; ფულიანმა—ფული, ხოლო ვისაც ფული არა აქვს—თავის შრომა, თავის ცოდნა და მეცადინეობა.

ყოველს დროსა და ყოველს ჟამს რაიმე განსაკუთრებული საჭიროება ადგია კარს და თხოულობს დაკმაყოფილებას. ამ ჟამად, მაგალითად, ჩვენი ხალხის მდგომარეობა გაჭირვებულია ნივთიერად და სწავლა-განათლებით. ამაზე ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა, და ეს ცხადი ჭეშმარიტებაა. აბა, ვინც კაცია, ვინც ამბობს, ღვთის სული მაქვს შთაბერილი და ქრისტეს მცნება გულს მიმარხიაო, ყური იქონიოს სმენად, თვალი ხედვად, შესწიროს თავისი წვლილი საზოგადო საჭიროებას და მით შეუერთდეს ღმერთს სულითა და გასწიოს ქრისტეს თანაზიარობა.

ის შემთხვევა, რომელმაც გამოიწვია დღევანდელი ჩემი სიტყვა, მაგალებს მე შევეხო ჩვენი ქვეყნის ბავშვების სწავლა-აღზრდას და მოვიხსენო ის პირი, რომელმაც იშრომა მისთვის და რაც ძალა და ღონე ჰქონდა მინიჭებული ნივთიერად და სულიერად, მთელი ეს ძალა გულწრფელად და თავმდაბლად მოახმარა ამ საქმეს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტაა ჩვენს ქვეყანაში მშობელი, რომელიც იმისთანა გზაზე აყენებდეს შვილებს, რომ ძვალში და რბილში გაუჯდეს მათ ქრისტეს მცნება და შეიძლონ მომავალში თავიანთ ხალხის სამსახური. ბევრს მშობელს ისე ესმის შვილების აღზრდა, რომ თუ შვიდ-რვა წლამდის ტანთ ჩაიცვა და ასვა-აჭამა, თუ ბავშვს სული შერჩა სკოლაში შესვლამდის, თავის მოვალეობა მოხდილი ჰგონია. ეს შვიდ-რვა წელიწადი, ბატონებო, იმისთანა დროა, როდესაც ითესება ყმაწვილის სულში და გულში თესლი მომავლის ცოდნისა და კეთილსურვილებისა. სწორედ ამ დროს ბევრი ჩვენი ბავშვი მივიწყებულია მამისაგანაც და დედისაგანაც: დარბის სადღაც, სად არის, ვისთან არის, კაცმა არ იცის; არა-

ვითარი საუბარი ბავშვთან, რომელიც მის გონებას ავარჯიშებდეს და ამზადებდეს ცოდნისთვის! არავითარი იმისთანა მაგალითი, რომელიც უღვიძებდეს გულში მას კეთილ გრძნობას. პირიქით ბევრი იმისთანა შემთხვევა აქვს ხოლმე ბავშვს, რომ თავისიანებისაგანვე ესმის სხვების ძაგინვა, სხვების გაკიცხვა. ხშირად ისეთი სიტყვა-პასუხის გამგონეც არის, რომელიც ითესება მის გულში უზნეობის თესლად და იქ ფესვებს იკეთებს ღრმად. არა იშვიათია იმისთანა შემთხვევაც, რომ ბავშვები მოწმენი არიან უზნეო საქციელისა: საკუთარის თვალით ჰხედავენ, რომ მათი მშობლები უღირსად ექცევიან თავის მოძმეებს, ღალატობენ მათ, ჰყვლეფენ, სძარცვენ. ამ გვარად თითონ მშობლები და მახლობელნი, საუბედუროდ ჩვენთვის, ცუდად მოქმედებენ ყრმათა ზნეობაზე, მაშინ როდესაც ისინი განსაკუთრებით უნდა ჰზრუნავდნენ მათთვის; ავიწყდებათ მოძღვრება მაცხოვრისა: „რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი, ჩემდა მომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა დამოეკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა“. (სახარ. მათესი, თავი 18, მუხლი 6).—ვისზე ამყარებენ ამისთანა მშობლები თავის იმედს, როდესაც ასე იქცევიან? ვისგან მოელიან შვილების აღზრდას და განათლებას?—სკოლისაგან. სკოლაში ვჰსცემ და იქ გამოწვრთნიან, იქ ასწავლიან ჩემ შვილებსო. ძალიან შემცდარი იმედია. ჯერ ერთი ის, რომ რაც პატარობისას უზნეობა და უსაქციელობა ჩაეთესება ბავშს გულში, ის, როგორც მოგახსენეთ, ღრმად იკეთებს ფესვებს და შხამავს ნორჩს არსებას, ხოლო სკოლაზე ის უნდა ვსთქვათ რომ, სამწუხაროდ ჩვენდა, ჯერ-ჯერობით იქაც ვერ არის საქმე სასურველად მოწყობილი. მოწაფეს იქ დრო არა აქვს ბუნებრივად გონება და ზნეობა განივითაროს. იქ მისი ყმაწვილობის ძალა და ენერგია უნდა შეალიოს მან ენის შესწავლას, რადგან არ იცის ის ენა, რომელზედაც ესაუბრებიან და ასწავლიან სხვა და სხვა საგნებს. ამგვარ მდგომარეობაშია დიდი ხანია საქმე.

სწავლა-აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს, სხვათა შორის, საყმაწვილო ჟურნალებს და წიგნებს იმ ენაზე, რომელიც გასაგებია ბავშვებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სკოლა გაუგებარ ენაზე ასწავლის მათ. ოთხ-ხუთი წლის პატარა ბავშვებსაც კი, რომელთაც ჯერ, რასაკვირველია, წერა-კითხვა არ იციან, ძალიან უყვართ, როდესაც ესაუბრებიან მათ და რასმეს წაუკითხავენ ხოლმე. შეგნებულ დედმამას შეუძლიან ისარგებლოს ამ ინტერესით და კეთილად გამოიყენოს საყმაწვილო ჟურნალი და წიგნები. შემდეგ, როდესაც ბავშვები წერა-კითხვას ისწავლიან, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა შესაფერ წიგნის კითხვას, რადგან მაშინ თითონ შეუძლიან იკითხონ წიგნი, თითონ დაუფიქრდნენ წაკითხულს, გაეცნონ კარგ მაგალითებს, კარგ საქციელს და ივარჯიშონ აზროვნებაში. ჩვენი პატარა ყმაწვილები ამ მხრითაც ცუდს მდგომარეობაში იყვნენ ამ ოცი წლის წინად. შეგნებული თუ ვინმე იყო მშობელთა და მასწავლებელთა შორის და აფასებდა საყმაწვილო ჟურნალებს და წიგნებს, იმათ წიგნები არ მოეძეოდა. (გამოდიოდა, მართალია, 1884 წელს საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“, მაგრამ, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო დაიხურა). ამ დროს გამოუჩნდა ჩვენ პაწია ბავშვებს და მათ მშობლებს გულ-შემატკივარი მზრუნველი, რომელსაც ღრმად ჰქონდა გულში დანერგილი სამშობლო ხალხის შვილების სიყვარული თანახმად ქრისტე მაცხოვრის სიტყვებისა: „რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმა ესევითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარეთ“. დღეს ტფილისში, საქართველოს დედა-ქალაქში, დღესასწაული აქვთ გამართული ამ პირის მოღვაწეობის პატივსაცემლად. ეს პირია ანასტასია მიხეილ თუმანიშვილის ასული, მეუღლე აწ უკვე გარდაცვალებულის ცნობილის ქართველ მოღვაწის, გიორგი წერეთლისა. წარსულ იანვარში პირველს რიცხვს შესრულდა ოცი წელიწადი, რაც ქალბატონი ანასტასია განუწყვეტლივ და თავ-აუღებლივ შრომობს ქართველ ბავშვებისათვის. ამ ოცი წლის წინად ტფილისში მოიწვია მან ქართველი მოღვაწეები, ქართველი მწერლები და განუზიარა მათ განზრახვა საყმაწვილო ჟურნალის გამოცემისა. კრებამ ერთ ხმათ აღნიშნა სრული უქონლობა თითქმის საბავშო წიგნებისა ქართულ ენაზე და საცოდავი მდგომარეობა ყრმათა, რომელთაც არც სკოლაში შესვლამდის და არც სკოლაში ყოფნის დროს არა ჰქონდათ საკითხავი რამ გასაგებ ენაზე. მშობლებსაც და მასწავლებლებსაც ეჭირვებოდათ შინაარსიანი ქართული წიგნები ბავშვებთან სასაუბროდ და საკითხავად, რომ ევარჯიშებიათ მათი გონება, განევითარებიათ მათ გულში ადამიანური გრძნობა და ამასთანავე შეეყვარებიათ მათთვის სამშობლო ენა, მაგრამ არსად იყო ამისთანა წიგნები. ეს გარემოება ხელს უწყობდა, რასაკვირველია, სამშობლო ენის დავიწყებასაც. კრებამ მოიწონა ანასტასიის განზრახვა, დამსახურებულმა მწერლებმაც და ახალგაზრდებმაც თანამშრომლობა აღუთქვეს მას, და იმ დღეს გადაწყდა საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ გამოცემა, რომელშიდაც უნდა ებეჭდათ წერილები როგორც მცირე წლოვანებისათვის, ისე უფრო მოზრდილებისათვისაც.

სიტყვა „ჯეჯილი“ ნიშნავს ახალ ამოსულ პურის მცენარეს, ქორფას, მწვანეს და ეს სახელი შესაფერიც არის იმ ასაკისათვის, რომლისთვისაც დაარსდა ჟურნალი. იქიდგან დაწყებული დღემდის განუწყვეტლივ გამოდის ეს წიგნი ყოველ თვიურად. ბევრი რამ სასარგებლო დაიბეჭდა შიგ: ლექსები ჩვენი საუკეთესო მგოსნებისა, საბავშო მოთხრობები, არაკები, მოთხრობები საქართველოს ისტორიიდგან, წერილები ბუნების მეცნიერებიდგან და სხვა-და-სხვა. ამ ჟურნალმა და სხვა წიგნებმა, რომელიც თან მოჰყვა მას ანასტასიის დაუცხრომელი შრომის წყალობით, მისცეს მშობელთა და მასწავლებელთ შესაფერი მასალა ყრმათა გონებისა და გრძნობის საწვრთნელად. ქართველი ბავშვები ეღირსნენ წიგნებს, რომელთაც ჰკითხულობდენ და რომელნიც ესმოდათ; ესმოდათ და სიამოვნებას ჰპოვებდნენ წიგნის კითხვაში, სიამოვნება-კი ხალისს უღვიძებდა მათ სწავლისას, სიყვარულს სამშობლო ენისას, და ვინ იცის, რამდენი კარგი აზრი და კარგი გრძნობა ჩაუნერგა ამ ჟურნალმა ყმაწვილებს სულსა და გულში. აჰა, მისი მკითხველებიც! ზოგნი უკვე გამოდიან სამოღვაწეოდ და ვხედავთ მათს კეთილ მიმართულებას, მათს სიყვარულს სამშობლოსადმი, ხოლო სხვები, უფრო მრავალნი, ახლო მომავალში გამოვლენ სამუშაოდ და თავის სწავლა-ცოდნით, იმედია მიეშველებიან მშობელ ხალხს. აღსრულდება მაშინ ის სიტყვები, რომელიც ზეწარწერილი აქვს ჟურნალს: „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო, მისივე სარჩო შეიქენ, ვინც გთესა-მოგიყვანაო“.

ამ ოცი წლის განმავლობაში ბევრჯელ გადაეღობა წინ დაბრკოლება „ჯეჯილს“ და მასთან განუყრელს ანასტასიას, ბევრი განსაცდელი დაადგა, მაგრამ იმ სიყვარულის წყალობით, რომლითაც გამსჭვალულია იგი პაწია ქართველებისადმი, ჟურნალი მაინც ფეხზე სდგას კიდევ და ბეჯითათ უნერგავს მკითხველებს გულში ქართულ გრძნობას და ახალისებს მათ სწავლისადმი.

მოღვაწეობა ანასტასიისი მარტო ჟურნალის და წიგნების გამოცემით არ თავდება: იმას დიდი სამსახური მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიაც“: ერთი საუკეთესო მშრომელთაგანი იყო იქ მრავალ წლის განმავლობაში, რამდენსამე წელიწადს საზოგადოების გამგეობაშიაც მსახურებდა და ყოველ წელიწადს დიდ შრომას ჰკისრულობდა საზოგადოების ნივთიერ საშუალების გასაძლიერებლად. ამას კიდევ დავუმატოთ ის, რომ ანასტასიამ დიდად შეუწყო ხელი თავის სამშობლო სოფელში, ხელთუბანში (გორის მაზრაშია), სახალხო სკოლის გახსნას და არ აკლებდა ამ სკოლას ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებას. ამას გარდა ანასტასიას თაოსნობით ტფილისში არსებობს აგერ რამდენიმე წელიწადია დედათა სასწავლებელი ყაზბეგის სახელობისა, რომელშიდაც სწავლობენ ღარიბ ქართველთა შვილები. იგი დიდს მონაწილეობას იღებს ამ სასწავლებლის ბედ-იღბალში; ერთი უმთავრესი სულის ჩამდგმელთაგანია მისი.

თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ანასტასია წერეთლისა არასოდეს არ ყოფილა იმ აზრით შეცული, რომ ცხონებულ იყოს პურითა. თავის ნივთიერი საშუალების შესაფერად და რაც ძალ-ღონე მიუნიჭებია მისთვის ღმერთს, ის ყოველთვის ამსრულებელი იყო მცნებას: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. ყოველი ქართველი მადლიერი უნდა იყოს მისი უანგარო შრომისათვის. ვსთხოვოთ ღმერთს ხანგრძლივი სიცოცხლე მისცეს ანასტასიას და კიდევ დიდხანს განაგრძოს მისი ნაყოფიერი შრომა საქართველოს მოზარდ თაობის სასარგებლოდ.

**ალექსი ჭ ჭინაძე.**

**„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: ლექსები გრიშაშვილისა, მჭედლიშვილისა და ფაშალიშვილისა; „სოლომონ ბრძენიც სდუმდა“ (გადმოცემა) დ. ნახუცრიშვილისა; სურათები „ახალგაზრდა ლედა“, ეპისკ. კირიონი და არქიმანდრიტი ამბროსი, როსტანი და ოთხი სურათი როსტანის ახალ დრამიდან.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **კანონ-პროექტის დამტკიცება.** ხელმწიფე-იმპერატორმა დაამტკიცა სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს მიერ მოწონებული კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც დამნაშავეებს ჩაეთვლებათ ის დრო, რომელიც მათ საქმის გარჩევამდე საპყრობილეში გაატარეს. (პ. ა.)

✦ **ე. ნინოშვილის ძეგლი.** ოთხშაბათს მოხდა ე. ნინოშვილის ძეგლის ამგებ კომიტეტის სხდომა, რომელმაც მოისმინა მექანდაკე ი. ნიკოლაძის პირობები ძეგლის გაკეთების შესახებ. ნიკოლაძე თხოულობს 1500 მანეთს. 500 მანეთი ეხლავე უნდა გაიგზავნოს, 500 მ. როდესაც ქანდაკი თიხისაგან გაკეთებული და მოწონებული იქნება და 500 მანეთიც ჩამოსხმის შემდეგ, ქანდაკი ბრინჯაოსი იქნება. ძირიქვები ქუთაისის ქვისაა. ნიკოლაძის ესკიზს საბოლოოდ განიხილავს სპეციალური კომისია. კომიტეტის გამოანგარიშებით, ძეგლი 2000 მანეთამდის დაჯდება. ძირის ქვები და მოაჯირი აქ უნდა დამზადდეს. ხოლო ქანდაკს პარიზში გააკეთებს ბ-ნი ნიკოლაძე და საზღვრამდე მოიტანს თავის ხარჯით, ხოლო ბაჟის ფული და ადგილამდის მიტანა კომიტეტის ხარჯით იქნება.

✦ **ვერის ძველი სასაფლაო.** საქართველოს საეკლესიო მამულების მიმოფანტვის ამბავი ახალი არ არის. თვით ტფილისში მრავალი ადგილია მითვისებული და დაკარგული. ორი მამული და დარჩა ეკკლესიას—ტფ. სასულიერო სემინარია პუშკინის ქუჩაზე და ვერის ძველი სასაფლაო. ამ სასაფლაოს დაჭერა ქალაქის გამგეობას უნდა. ვერის ყოფილი სასაფლაო შეიცავს 4 დესეტინას და 2300 ოთხ.-კ. საჟენს. დიდი ფული ღირს ეს ადგილი. 1800 წელს იგი იაზონ გ. ბაშვილს შეუწირავს ივერიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიისათვის. მდებარეობით ეს ადგილი ერთი უპირველესთაგანია ქალაქში. იგი 1877 წლამდე სასაფლაოდ ყოფილა, ამ წელს-კი სასაფლაო გაუუქმებიათ. ჯერ კიდევ 1900 წელს სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობამ მაშინდელს ექსარხოს ფლავიანეს ამ ადგილის დათმობა; შემდეგ ადგილი ეთხოვა ექსარხოსებს ალექსის, ნიკონს. ასეთივე თხოვნით მიმართა გამგეობამ ახალ ექსარხოსის დანიშნამდე მის მოადგილეს ეპისკოპოს გრიგოლს. ამ უკანასკნელმა საკითხი კანტორაში შეიტანა განსახილველად. კანტორა თანახმა გახდა ქალაქს იჯარით მისცემოდა 2000 ოთხ.-კ. საჟენი, 9 წლით, 100 მანეთად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1300 ოთხ.-კ. საჟენი მიწა იჯარით უჭირავს სანთლის ქარხანას და წელიწადში 200 მან. იხდის. ექსარხოსის ინოკენტის მოსვლის შემდეგ ქალაქის გამგეობამ საკითხი ხელ-ახლად წამოაყენა და ითხოვა 2 ნახ. დესეტინა ბაღის გასაშენებლად. ქალაქის გამგეობის თხოვნით ექსარხოსმა ინოკენტიმ სასაფლაო დაათვალიერა ქალაქის თავის მოადგილეს ალ. ი. ხატისოვისა, ხმოსან მ. ზ. ქანანოვისა, მიწის მზომელ მელიქ-ალახვერდოვისა და ინჟინერ აზელოვის თანხლებით. ექსარხოსს უთქვამს, რომ იგი პრინციპიალურად წინააღმდეგი არ არის, ეს ადგილი ქალაქს გადაეცეს, მხოლოდ წინადადება მიუცია შეადგინოს გამგეობამ პროექტი ადგილის გადასაცემ პირობისა, რომელსაც კანტორა განიხილავს და შემდეგ სინოდს წარუდგენს.

✦ **რკინის გზა კავკასიონის მთაზე.** დეპეშათა სააგენტო იუწყება, მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელიც განიხილავს რკინის გზის გაყვანის საკითხსა კავკასიონის მთაზე (ტფილისიდან კავკავამდე). მინისტრთა საბჭოს დადგენილება ხელმწიფე-იმპერატორმა უკვე დაამტკიცაო. ამას გარდა, როგორც „ბაკუ“ გადმოგვცემს, მარტის პირველ რიცხვებში მოიწვევენ სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტის კრებას, რომელიც საბოლოოდ გადასწყვეტს საკითხს ამ რკინის გზის შესახებ.

✦ **ანტონ ფურცელაძის დაბრუნება.** პეტერბურგიდან დაბრუნდა ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარე ანტონ ფურცელაძე. პეტერბურგში იგი სამსახურის საქმეების გამო იყო, მან მონაწილეობა მიიღო საადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენელთა კრებაზე. სხვათა შორის შეუდგენიათ პროექტი, რომლითაც საადგილ-მამულო ბანკებს უფლება ექნებათ სესხი აძლიონ ქალაქის თვით-მმართველობებს. ხსენებულ კრებას ეს საკითხი განუხილავს. პროექტიდან გამოტოვებული ყოფილა ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკი და მხოლოდ ან. ფურცელაძის წინადადებით შეუტანიათ იგი.

✦ **წ.-კ. საზოგადოება.** 18 თებერვალს საღამოთი მოხდა სხდომა წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობისა. გამგეობამ განიხილა მოხსენება ფოთის განყოფილების დაარსებლად სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ. გამოირკვა, რომ განყოფილების საორგანიზაციო კრებაში მონაწილეობა მიუღიათ საზოგადოების არა წევრებსაც. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს ფოთის განყოფილების წევრთ ხელმეორედ მოახდინონ კრება. გამგეობამ ამავე სხდომაზე დაადგინა, სოფ. აკეთის მცხოვრებთა თხოვნის თანახმად შუამდგომლობა აღიძრას ამ სოფელში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების ნებართვის შესახებ.

✦ **ს. ი. მესხის გარდაცვალება.** ალექსანდროპოლში ამ დღეებში გარდაცვლილა ექიმი სერგეი ირ. მესხი.

✦ **ცეცხლი.** აბასთუმნის ქუჩაზე მათე სოსინის სალებავ ქარხანას გაუჩნდა ცეცხლი და სულ ერთიანად გადაიწვა. ცეცხლი გასჩენია მეორე სართულში მშრალ სალებავ წამლებს და ისე მსწრაფლ მოსდებია შენობას, რომ ვერაფერი გადაურჩენიათ.

✦ 18 თებერვალს, 12 საათზე, შუაბაზარში დააპატიმრეს ტფ. მოქალაქე პაპიაშვილი, ხელობით ზეინკალი, რომელიც მკვლელობისთვის ამ 13 წლის წინად ირკუტსკის გუბერნიაში გადაუსახლებიათ. პაპიაშვილს აღნიშნულ გუბერნიაში 10 წელიწადი დაუყვია და შემდეგ ისევ ტფილისში დაბრუნებულა. იმავე დღეს მუხრანის ბორანთან მტკვარში გადავარდა 19 წლის ოლღა იოსების ასული გერონიმი, რომელსაც ჩაეშველა პეტრე ავალიანი და ქალი გადაარჩინა, სოლოლაკის ქუჩაზე დააპატიმრეს ჩხრეკის დროს პოლიციის 1 ნაწილში 25 უპასპორტო კაცი. დაპატიმრებულთა ვინაობის გამორკვევას შეუდგნენ.

✦ დუშეთის ქუჩაზე კლიმოვსკის საკერავ სახელოსნოში თავის მოკვლა განიზრახა 17 წლის გასათხოვარმა ქალმა სოფიო ელიოზიშვილმა და საწამლავი დალია. მოწამლული ქალი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ დღეს, 20 თებერვალს, კავკასიის საიმპერატორო საექიმო საზოგადოების სადგომში ქ-ნი ვარდანიანი 4—5 საათზედ რუსულად წაიკითხავს „გარიყული კაცი“. ხვალ, 21 თებერვალს, ბავშთათვის წაიკითხავენ: ქ-ნა ვარდანიანი, სომხურად, დილის 10—11 საათზეც „იავნანამ რა ჰქნა“ ქართულად ქ-ნნი ავალიანი და ახალშენიშვილი, პირველი დილის 11—11 ნახევარ საათზედ—„წითელ ფარანს“, მეორე 11 ნახ.—12 ნახ. საათზედ „საუბარი ძაღლებზე“. ამავე დღეს საღამოთი წაიკითხავენ: ქართულად ექიმი ვ. დ. ღამბაშიძე საღამოს 5—6 საათზედ ლექციას „ჭლექი“, სომხურად: ექიმი ა. პ. მხიტარიანცი საღამოს 6—7 საათზედ ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია.

# ჭიდაობა

ხშირად თვით მატერიალურ რამეზედაც, რომელიც შეგვიძლიან ავსწონოთ, გავზომოთ და დავუმორჩილოთ ამა თუ იმ ფიზიკურ კანონებს, ძნელია ხოლმე ერთი აზრის ქონა, ერთი შეხედულების შემუშავება. სულიერ განცდათა სფერაში კი, სადაც ყოველი მოვლენა ემორჩილება არა რომელიმე ობიექტიურ კანონებს, არამედ წმინდა პირად გემოვნებასა და თვისებებს, შეუძლებელია ყველას ერთი აზრი მიაჩნდეს ჭეშმარიტებად, ერთი შეხედულება ბატონობდეს სხვა დანარჩენზე.

მაგრამ ამ მრავალ-ფეროვან სამფლობელოს ზოგიერთ უმთავრეს დარგში ჩვეულებრივ ადამიანთათვის არსებობს რამდენიმე მაინც საერთო შეხედულობა. მათ იციან სადა ჰყვავილობს მშვენიერება, სინაზე, ზელტაცება და სად ქვემძრომლობს სინადირე, საზიზღრობა და მახინჯობა. მათთვის მშვენიერება არის იქ, სადაც ბუნება თვალწინ გვიშლება თავის სიმდიდრით და სიძლიერით, თავის სირთულით და სინაზით, თავის თვალწარმტაც სანახაობით და უხილავ საიდუმლო ძალთა თამაშით, რომლის სტიქიაც ან მომჯადოვებელ სანახაობად, ან მპყრობელ ჰანგებად ან უხილავ, უცნობ სიამედ გვენერგვის გულში. და ჩვენი გულიც, როგორც ნაწილი თვით ამ ბუნების, ჰარმონიულად უერთდება იმის ძალთა თამაშს, იმის წარმტაცობას, მშვენიერებას. იციან ისიც თუ სად არის შავი სამეფო, ბნელით მოცული ნადირობისა, მახინჯობისა, ქვენა გრძნებათა.

ვიწყებ მაღლიდან, რომ უკეთესად გადავშალო თვალწინ ის, რის ჩვენებაც მე მინდა, რადგან იგი დაბლა იმყოფება.

მე მესმის აღტაცება ბელვედერის აპოლონით. იგი არის იდეალი ვაჟკაცურის მშვენებისა. თითქოს მთელი მისი ტანი მზის უმღერის სიცოცხლის ჰანგებს, ხარბად სუნთქავს ჯანსაღობით, ბუნების მშვენიერებით; მასში ჰხედავს [illegible] სახეს,—ღვთაებრივ სურათად თვალწინ დახატულს.

მესმის—[illegible] სიყვარულის ღმერთა ვენერით. იგი თითქოს აპოთეოზია ქალის პლასტიურ მშვენებისა, მასში ჩანერგილ სიყვარულის წყურვილისა, მასში დაქსელილ სინაზისა და ასაღელვებელად გამზადებულ წყნარ გრძნობებისა.

მესმის სიყვარული და პატივისცემა ნიობეიას სახის წინაშე. იგი არის სიმვოლი თვით ღმერთთა წინაშეც შეუპოვარ გულისა, ტრაგიკულ წამშიც თვის ღირსების მცნობი, სიკვდილის დროსაც ამაყი და შეუპოვარი.

მაგრამ არ მესმის და ვერ გამიგია, რა ესთეტიურ სიამოვნებას ჰხედავენ ნადირობაზე, მოტყუებაზე და კომერციაზე დამყარებულ გასართობში—ჭიდაობაში.

ეს ორი წელიწადია თითქმის, რაც რუსეთის დიდი ქალაქების მცხოვრებნი ლამის გადაირივნენ ჭიდაობისთვის. უბრალო განვითარებულ ხალხს რომ თავი გავანებოთ, რომელიც ესთეტიურ სიამოვნებას ჰხედავს მხოლოდ იმაში, რაც თვალსა ჰჭრის, ინტელიგენტურ ნაწილსაც პირდაპირ სენად გადაექცა ჭიდაობა და თავისუფალ დროს სულ „ტურდე-ტეტზე“ და „ბრა-რულზე“ ოცნებობს ხოლმე და ზოგჯერ კიდეც ვარჯიშობს შინაურულად. თავს იმითი იმართლებენ—პლასტიკააო. შეიძლება ცოტაოდენი პლასტიკა მართლა იყოს, მაგრამ ამასთან ერთად იმდენი ნადირობა და ანტიესთეტიური რამაა, რომ უგზო-უკვლოთა ჰქრება ის მცირე საამო გრძნობაც, რასაც განიცდის მაყურებელი.

ოჰ, რა შესაზიზღია იქ ეს გამოტვინებული, მოღრიალე, მოსტვინარი ხალხი! უყურებ და ღრმა ეჭვი გებადება, ნუ თუ რამე ფასი აქვს მათ სამართლიან მოთხოვნას თავიანთ მპყრობელთა წინაშე, ვიდრე მათ არსებიდან არ აღმოიფხვრება ეს ნადირული გრძნობანი?

კაცი კიდევ—ჯანდაბას! ის დიდი ხანია ჩაფლულია ასეთ რამეებში და ესეც არ იყოს, მას შეუძლიან ათას გზით გამოისყიდოს თავისი დანაშაული, დაკარგული დრო, დანაკლისი, მაგრამ სულ სხვაა ქალი: იმის დიდებას, იმის სიცოცხლის გვირგვინს შეადგენს მისი სიფაქიზე, სინაზე და მშვენიერება, მაგრამ როცა იგი მიდის ამნაირ ნადირობის საცქერლად, მისი საუნჯეც უეჭველად შელახულია.

აგერ მშვენიერი არსება, რომლის შეხვედრაც სხვა დროს გადიქცევა ხოლმე საუკეთესო ფიქრთა წყაროდ, უნაზეს და უწმინდეს გრძნობათა აღმძვრელად, ეხლა კი, ეხლა... აგერ ხან ლორნეტით, ხან დურბინდით როგორ ხარბად მისჩერებია მოჭიდავეთა გამოტვინებულ სახეს, მათ თითქმის შიშველა ტანს. გული არ გითმენს: შენი აზრებით გადადიხარ იმის გონებაში, გინდა გაიგო, რასა ფიქრობს, ან რას განიცდის და აგერ უეცრად თავში გაუელვა საშინელმა აზრმა, გულში იფეთქა ქვენა გრძნობამ... მოიწამლა თითქოს ფაქიზნი მისი აზრები, გაირყვნა თითქოს წმიდა იმისი გული. ამ საზიზღრობაზე გაღრჟოლებს ტანში, გძულდება მოჭიდავენიც, ფასს ჰკარგავს მშვენიერი არსებაც და გეზიზღება შენი თავიც, რომ მოწმე ხდები ადამიანის საუკეთესო აზრთა და გრძნობათა გათახსირებისა.

ვისაც მართლა გატაცება შეუძლიან ამგვარ გასართობით, იგი ან ესთეტიურის გრძნობებით უნდა იყოს დამახინჯებული და ვეღარ არჩევდეს უმაღლეს სიამეს და ნადირობას ერთმანეთისაგან, ან კიდევ ჯანით უნდა იყოს უბადრუკი, ღვთისგან დასჯილი და სწყურიან, რომ სხვის ჯანსაღობის ცქერით მაინც დასტკბეს, რაკი თვითონ მოკლებულია ამას.

ეტყობა, ნერონის დროის გემოვნება ჯერ სავსებით არ გამქრალა და კიდევ კარგა ხანს იმეფებს ხალხის უვიცობაში. მანამდის კი ისევ იმრავლებს ჯან-ღონით სავსე მუქთა-მჭამელთა ხროვა, ხოლო ათასნაირი ნიკიტინები გაისქელებენ ჯიბეს ხალხის უვიცობით. **ლევ. მ—ლი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ახალგაზრდა მსახიობის ი. ზარდალიშვილის ბენეფისს ხელი ვერ შეუწყეს. ჯერ ერთი—ეს ბენეფისი ხუთშაბათ დღეს გაიმართა, როცა ს"ვებს საბენეფისოდ კვირა დღეები დაეთმოთ. მეორე—ხუთშაბათს ზარდალიშვილის ბენეფისი იყო, ხოლო ხვალისთვის ვ. ალექსი-მესხიშვილის ბენეფისია დანიშნული. რა თქმა უნდა, ბევრმა ხუთშაბათს თავი მიანება და კვირისთვის იყიდა ბილეთები. ზარდალიშვილის ბენეფისი-კი მეტის ყურადღების ღირსი იყო. მთელი სეზონის განმავლობაში არც ერთ მსახიობს არ უშრომნია იმდენი, რამდენიც ამ ახალგაზრდა მსახიობმა იშრომა. სწორე თუ გნებავთ, წელს უზარდალიშვილოდ მრავალი პიესა ვერცკი დაიდგმებოდა. ამასთან ეს მსახიობი ყოველთვის მუყაითად და სინიდისიერად ეკიდებოდა თავის მოვალეობას.

საბენეფისოდ ი. ზარდალიშვილს აერჩია დოსტოევსკის რომანიდან გადმოკეთებული პიესა „დანაშაული და სასჯელი". როგორც ყველა სხვა პიესა, ნიჭიერად დაწერილ და მხატვრულ ნაწარმოებიდან გადმოღებული, ისე დრამა „დანაშაული და სასჯელი" ქეათედსაც არ გვაძლევს იმისას, რაც თვით რომანშია.

ზარდალიშვილი ასრულებდა მთავარ როლს—რასკოლნიკოვისას. ავადმყოფი, ნერვებ აშლილი, გალიუცინაციებით შეპყრობილი რასკოლნიკოვი განსაკუთრებულ დაკვირვებას თხოულობს ამსრულებლისა. ასეთ როლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ წვრილმანს, სახის მოძრაობას, ავადმყოფურ მიხვრა-მოხვრას. დიდი დრო და მრავალჯერ თამაშობა უნდა, რომ ასეთი როლი უნაკლულოდ აასრულო. ზარდალიშვილმა არა თუ არ გააფუჭა ძნელი როლი, ზოგიერთ სცენაში მშვენივრადაც გადმოგვცა რასკოლნიკოვის აფორიაქებულ სულის მდგომარეობა. პირველ ხანს თითქო გაუბედაობა ეტყობოდა მსახიობს, მაგრამ შემდეგ როლში შევიდა. ცოცხლად დაგვიხატა ის სულიერი ტანჯვა, რომელსაც რასკოლნიკოვი გამომძიებელთან ლაპარაკში განიცდის. მსახიობი მრავალჯერ დააჯილდოვეს ტაშით.

გამომძიებელს ასრულებდა კ. მესხი. ძალიან საინტერესო და მშვენივრადაც შეასრულებდა კ. მესხი, რომ როლი ბეჯითად სცოდნოდა. როგორც ბევრ სხვა როლში, აქაც ამ მსახიობმა თავისებურება შეიტანა.

ძალიან გაქიანურებული და მომაბეზრებელი პირველი მოქმედება, სადაც მხოლოდ მარმელადოვი ლაპარაკობს. დაუსრულებელი მონოლოგია. მაგრამ გედევანოვმა მაინც რიგიანად ჩაატარა იგი.

გ. იშხნელი (რაზუმიხინი) ამ საღამოს მოგვეწონა. სცენაზე თავი თავისუფლად ეჭირა, ეს არის ხანდისხან ენა წაუბორძიკდებოდა ხოლმე.

დანარჩენთ უმნიშვნელო როლები არ გაუფუჭებიათ.

—

**სალამო.** წერა-კითხვის მთავარ გამგეობის მეთაურობით 13 მარტს გაიმართება დიდი დრამატიულ-ლიტერატურულ-მუსიკალური სალამო წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ. გამგეობა უკვე შეუდგა მზადებას სალამოს მოსაწყობად. მონაწილეობას მიიღებენ ძალები. სალამო ქართულ თეატრში გაიმართება.

# უცხოეთი

**ინგლისის ეხლანდელი პარლამენტი.**

„რუსკ. ვედ."-ს ლონდონელი კორესპონდენტი მოკლედ, მაგრამ ძლიერ ცოცხლად, ასწერს ინგლისის ეხლანდელ პარლამენტს: „დავიწყოთ პირველ მინისტრიდან. ოპოზიციონური (უნიონისტური) პრესა მრავალ კარიკატურას უხატავს ასკვიტს: იგი ხან დახატულია საცოდავ ცხვარად, რომელიც ბაწრით მიჰყავს ლოიდ-ჯორჯს; ხან ჯამბაზად, რომელიც ორ ორჩოფეხზე ადის: ერთი გრძელია, მეორე მოკლე (ლორდთა პალატის „ვეტო"-ს მოსპობა და ბიუჯეტი). სამაგიეროდ სამინისტროს მომხრე პრესას ასკვიტი მიაჩნია გაბედულ წინამძღოლად, რომელსაც თავისი მომხრეები მიჰყავს საომრად „ურჯულოთა" წინააღმდეგ. ჩემის აზრით-კი, ასკვიტი არც უენო ცხვარია, არც ჯამბაზი, არც თუ გაბედული მეომარი. იგი—გულდინჯი, მეტად გონიერი, მოსაზრებული და ანგარიშიანი ვექილია. როგორც დახელოვნებული, ნიჭიერი ვექილი, იგი მუდამ ეცდება სხვა და სხვა ხერხითა და მარჯვე განმარტებით თავი დააღწიოს გაჭირვებულ მდგომარეობას. ავიღოთ თუნდა მისი სიტყვა ალბერტის დარბაზში. ეს სიტყვა მთელმა პრესამ და საზოგადოებამ ისე გაიგო, რომ ლიბერალური სამინისტრო არ დარჩება, თუ მეფისაგან გარანტიას არ მიიღებს, რომ ლორდთა პალატის „ვეტოს" უფლებას ბოლო მოეღებათ. ეხლა ასკვიტი ჰხსნის, რომ მის სიტყვას სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდაო. სამინისტროს არც მიუღია მეფისგან გარანტია, არც უთხოვნია მისი მიცემა. უკიდურეს რადიკალები მაინც ნდობით როდი უცქეროდნენ ასკვიტს, ეხლა მათი ურნდობლობა უფრო გაძლიერდა.

ასკვიტზე არა ნაკლებ კონსერვატორებს ეჯავრებათ ხაზინის კანცლერი (ფინანსთა მინისტრი) ლოიდ-ჯორჯი. ამ დღეებში ერთ-ერთ სასოფლო სკოლაში იორკშირში მოხდა აქტი. მღვდელმა ჰკითხა ერთ უმაწვილს: „ვინ არის უდიდესი კაცი ინგლისში?"—„ლოიდ-ჯორჯი"—უპასუხა უცებ უმაწვილმა. მღვდელმა გაასწორა, უდიდესი კაცი ამ ჟამად ინგლისში მეფეა, მაგრამ მაინც ხაზინის კანცლერიც დიდებული კაციაო. მღვდელმა დაატანა, რომ ლოიდ ჯორჯი ღარიბ გლეხის შვილია, სოფელში დაბადებულიო. აქედან ჩანს, რომ ყოველს თქვენგანს, თუ ნიჭი და სურვილი გექნებათ, შეუძლიან ლოიდ-ჯორჯივით ამაღლდესო". აქ ლაპარაკში გაერია მემამულე ქალი, კონსერვატორების კავშირის წევრი.—„მე არა ვცნობ ლოიდ-ჯორჯს უდიდეს კაცად ინგლისში.—დაიწყო ქალმა, მართალია, ლოიდ-ჯორჯი დიდებული კაცია, მაგრამ იგია სული ბოროტებისა. იგი სატანაა, ინგლისის რისხვაა. ნება რომ მივცეთ, ისეთ გადასახადებს შემოიღებს, რომ თქვენ მამებს ხელიდან გამოაცლის ჯამაგირებს, ტანისამოსს და საჭმელს. თუ დემონი თანამედროვე ინგლისისა განთავისუფლდება, მე ისე გავღარიბდები, რომ თქვენ საჩუქრებს ვეღარ მოგცემთო". ერთ სოფელში მასწავლებელი ქალი, მღვდლის ბძანებით ასეთ სიტყვებს უკარნახებდა მოწაფეებს: „სანამ ინგლისი ისეთ კაცების ხელშია, როგორც ლოიდ-ჯორჯი, ეს ნამდვილი მტერია ჯორჯისა, მეფისა, ეკლესიისა და საკუთრებისა, სანამ ყველა საუკეთესო კაცების გაკაპასებულ მტერს—ხაზინის კანცლერს აქვს უფლება უანგარიშო გადასახადების დაწესებისა,—ვაი ინგლისს!"

ეხლა ყველამ იცის, რომ ლოიდ-ჯორჯს სულაც ჭკუაში არ მოსდის ასკვიტის ტაქტიკა, იგი უფრო გაბედულ ტაქტიკას მოითხოვს. ესევე ითქმის ჩერჩილზეც. უკანასკნელ არჩევნების დროს ჩერჩილმა თვით ლოიდ-ჯორჯზე მეტი მხნეობა გამოიჩინა და აკი ხაზინის კანცლერის ახალგაზდა მეგობარი—შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნეს. ამას წინად გამოვიდა ჩერჩილის წიგნი „ხალხის უფლება". ეს წიგნი გვიჩვენებს, თუ რამდენად მარცხნივ მოუწევია ამ უკანასკნელ ოთხ წელიწადში თითონ ავტორსაც და საზოგადოდ ინგლისის ლიბერალიზმს. ჩერჩილის წიგნი და იმაში აღნიშნული სოციალური რეფორმები შიშის ზარს დასცემდნენ იმ რადიკალებს, რომლებმაც შეადგინეს ნაუკესტლის პროგრამა. სულ 18 წელიწადმა გაიარა ამ პროგრამის შედგენის შემდეგ და აი ეხლა თვით კონსერვატორების პროგრამა უფრო რადიკალურია ნიუკესტლის პროგრამაზე, რომელიც თავის დროზე საოცრად უკიდურესად მიაჩნდათ. ჩერჩილის წიგნი ხომ ღრმა უფსკრულითაა გაყოფილი გლადსტონის მანიფესტისგან (იგივე ნიუკესტლის პროგრამა).

განახლებულ სამინისტროში ასკვიტისა, ლოიდ-ჯორჯისა და ჩერჩილის გარდა, კიდევ სხვა ბევრი ნიჭიერი კაცი ურევია: გარეშე საქმეთა მინისტრი გრეი, ირლანდიის საქმეთა მინისტრი მოსწრებული ბირელი, მისი ამხანაგი მორტეგიუ, სამხედრო მინისტრი ჰალდენი და სხვანი. სამინისტროს მომხრე პარტიაშიც ბევრი ნიჭიერი დეპუტატი ურევია.

მუშათა პარტია ეხლანდელ პარლამენტში რიცხვით ნაკლებია, მაგრამ იგი უფრო შეთანხმებულია და შეჯგუფებულია ბევრი გამოჩენილი დეპუტატი აკლია, მაგრამ უმთავრესი წინამძღოლები ყველანი დარჩნენ. ირლანდიელებსაც, მუშებსაც ხელს არ მისცემთ ამ ჟამად მაინც, რომ ასკვიტს სამინისტრო დაუყონებლივ გადადგეს. ამიტომ უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი უეჭველად მოურიგდებიან და მხარს დაუჭერენ ასკვიტის სამინისტროს.

კონსერვატორების პარტიას მესამედი მოემატა. წინად იგი შესდგებოდა პროტექციონისტებისა და ფრიდრეტერებისგან, ეხლა მასში მარტო ერთი ფრიტრეტრედერი-და (თავისუფალ ვაჭრობის მომხრე) დარჩა. ამნაირად, პარტია ამ მხრივ უფრო ერთფეროვანი გახდა, ამ პარტიაში ყველაზე ნიჭიერი კაცი თითონ ბალფურია. მისი თანაშემწეები დეპუტატთა პალატაში, ჩემბერლენის გარდა,—საშუალო ნიჭის პატრონები არიან. ვინ იცის, იქნება შემდეგში ახალგაზდა დეპუტატებში გამოჩნდეს ნიჭიერი კაცი, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმე ესეა, როგორც ვსთქვი. ასკვიტის სამინისტრო რომ დაეცეს და ბალფურმა შეადგინოს სამინისტრო თავის ძველ თანაშემწეთაგან, მასში არ მოჰყვება არც ერთი გამოჩენილი ნიჭიერი სახელმწიფო კაცი".

# ეგნ. ნინოშვ. ძეგლი

„ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო თელავში შეგროვილი ნიკო ღუდუშაურისაგან 11 მან. 90 კაპ.

შემომწირველთა სია: კნ. ან ნ. ჭავჭავაძისამ 1 მ. 50 კ. თითო მანეთი: ივ. ბარკალაიასაგან, ნინო ჩოლოყაშვილისაგან, თამარა ჩიკვაიძისაგან, თამარა ყ. ზახაშვილისაგან; ათ-ათი შაური: დეკ. მიხეილ ხელაშვილისაგან, ვანო პაატაშვილისაგან, ლადო ედილაშვილისაგან, ალ. ბარნოვისაგან, მარიამ გოშაძისაგან, ქ. გამყრელიძესაგან, ქ-ნ ა. ცისკარაშვილისაგან, ელენე შიუკაშვილისაგან, კნ. ნინა ჭავჭავაძისაგან. ორი აბაზი: სარდიონ ალადიშვილისაგან, ილია გორდეზიანისაგან. 35 კ. ვ. ბარნოვისაგან. 30 კ. მარკოზიშვილისაგან. 25 კ. სოფ. ლაშხაურისაგან. 20 კაპ. შაქრო მარკოზიშვილისაგან ფოსტის ხარჯი და დანარჩენი გადაიხადა თითონ ღუდუშაურმა.

„ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო „მომავალის" რედაქციისაგან 19 მ. 5 კ. შემომწირველთა სია დაბეჭდილი იყო გაზეთის №№ 52, 70, 99.

იმავე რედაქციამ კიდევ მიიღო კაპიტო სამსონიას მიერ შეგროვილი სადგურ სოლანლუღში რკინის გზის მოსამსახურეთა შორის 5 მ. 5 კ.

შემომწირველთა სია: 1 მ. არტემ ქსოვრელაშვილმა, ათ-ათი შაური: კაპიტო სამსონიამ, შალიკო მათითაშვილმა, სერგი ჭამკოტაძემ, ს. ლაღიძემ, ხუთ-ხუთი შაური: მარო სამსონიამ, მარიამ ქალიფთარისამ, მ. მაისაშვილმა, ვანო მელაძემ, თითო აბაზი: სარდიონ გორდელაძემ, გარსო თვაურმა, გიორგი ოგანესოვმა. 15 კ. ტოპ. ორ-ორი შაური მელიტონ ჩიმჩალაძემ, ოლიფანტე ციცხუამ, გ. ხიზ.

კიდევ მიიღო ალექსანდროპოლიდან შეგროვილი ბ. ვირსელაძის მიერ 22 მან.

შემომწირველთა სია: ავთანდილ კვაცაშვილისაგან 5 მ. თავ. გიორგი ამილახვრისაგან 5 მ. ინჟენერ ჩხეიძისაგან 5 მ. იოსებ თევზაძისაგან 3 მ. ილია ფიცხელაურისაგან 2 მ. მღვდელი მაწუკუტოვისაგან 1 მ. მღვ. მიხეილ კორიაკოვისაგან 1 მან.

„ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო კიდევ შეგროვილი ბორჯომში ზაზა კიკნაძის მიერ 41 მან.

სია შემომწირველთა: მელქო აკოფოვმა—3 მან. ანდრო და დიმიტრიმ დევიძეებმა—2 მან. ანტონ კოხანაშვილმა, ვასო მარჯველაშვილმა, ელიზბარ ქიმერიძემ, ივანე ზურაბის-ძე ხაჩიძემ, მალაქია გელაშვილმა, ბესო ჩადუნელმა, ნიკო ტაბატაძემ, ვანო ჩაჩანიძემ, ლუარსაბ ლომიძემ, სამსონ სამსონაშვილმა, როსტომ ხაჩიძემ, ილიკო ხეთაგურმა, ლენტო ხუციშვილმა, ვანო ასანიძემ, იოსებ ტალახაძემ, იოსებ დათუნაშვილმა სოლომან მთვარაძემ, მამძულა ტაბატაძემ, იოსებ ლომიძემ, ვანო ბუხრაძემ, დიმიტრი თედიაშვილმა, გიო ტაბატაძემ, გორა გელაშვილმა, იოსებ გოგიჩაშვილმა, ნიკო გაბრიელის-ძე გელაშვილმა და პავლე ჩინჩალაძემ თითო მანეთი. პეტო ღონღაძემ—75 კ. შაქარა ჩადუნელმა—70 კ. სოლო გოგლიშვილმა—60 კ. კიმოთე გოგოლაძემ—60 კ. ნიკო იაკობის—ძე გელაშვილმა, სოსო კაჯენაშვილმა, როსებ გელაშვილმა, პავლე ბლიაძემ, ფიდო ტაბატაძემ, პავლე კაჭუნაშვილმა, მიხეილ ამანათაშვილმა, სერგეი ტალახაძემ, პავლე გოგალაძემ, ზურაბა ჯაფიაშვილმა, კიმოთე გობიანმა, ლექსო ჩადუნელმა და სანო ლომსაძემ ათ—ათი შაური. ტატო ბლიაძემ—45 კ. ნიკო გოგალაძემ, ბართლომე შერგელაშვილმა და ნიკო ხრიკაძემ—თითო აბაზი. ბესო გოგალაძემ—10 კ.

„ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო ვლ. ყიფიანისაგან 4 მან. შეგროვილი დ. ბორჯომში ერისტო ჩარკვიანისა და ფიდო დანელიასაგან თვისთ, ამხანაგთ, დღიურ მუშათა შორის.

სია შემომწირველთა: გიო შუბიძე, ფიდო დანელია, ილიკო კიკაძე, პეტრე სუთიაშვილი, იერემია და დომენტი კუპრაძეები, ისიდორე კირილე და ეფრემ პაქსაშვილები, ერისტო და ალექსი ჩარკვიანები, ლუა ასპანიძე, ანდრო და ვანო ლონდარიძეები, პეტრე გიორგაძე და ალექსი აბაიაძე თითომ—25.

იყო დღემდის 2078 მ. 56 კ.

შესდგა 2181 მ. 56 კ.

**„ჯეჯილის" რედაქცია.** სთხოვს ყველას, ვისაც წაღებული აქვს ეგნატე ნინოშვილის ძეგლისთვის ფულის მოსაგროვებლად კვიტანციები დაუბრუნოს რედაქციას როგორც წიგნაკები, ისეც დღემდე მოგროვილი ფული, რომელთა მიღება გამოცხადებული იქნება ქართულ გაზეთში.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგს:

5 თებერვალს ქალაქ ახალციხეში, კლუბში, დადგმული იქმნა წარმოდგენა ახალციხის ძველი ნაწილის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოადგინეს „მეზობლები" რამიშვილისა. შემოვიდა ბილეთებიდგან—214 მ. 80 კ., ბუფეტიდან—31 მ. 7 კ.; შემოსწირეს—14 მ. 80 კ. სულ შემოვიდა—260 მ. 67 კ.

დაიხარჯა: კლუბის გათბობა-განათება და კლუბის სასარგებლოდ შეწირულებაში—24 მ. 50 კ., საზანდარი—5 მ., პარიკმახერი—4 მ., აფიშები და პროგრამები—2 მ. 50 კ., მარკები—13 მ. 90 კ. და სხვა ხარჯი—37 მ. 18 კ. სულ ხარჯი იყო—87 მ. 8 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა—173 მ. 59 კ., რომელიც გარდაეცა ბიბლიოთეკის ხაზინადარს ქ-ს რაზალია ალელიშვილისას. ბიბლიოთეკის გამგის მღ. ბ. კანდელაკის თანადასწრებით. უღრმეს მადლობას უცხადებ ტენგიზის პოლკის უფროს ბ-ნ გ. გ. ეგბერტს მუზიკის უფასოდ დათმობისთვის, თ. გ. ნ. თუმანოვს და ყველა იმ პირთ, რომელთაც დახმარება გამიწიეს, სცენის მოყვარეთა ახალგაზრდობას, შემომწირველთა და პატივცემულ საზოგადოებას, რომელიც დაესწრო წარმოდგენას.

გამგე წარმოდგენისა

**ქეთევან კანდელაკისა.**

—

გთხოვთ დაბეჭდოთ ანგარიში 1909 წ. 12 დეკემბერს ქუთაისში გაწყობილ პირველ საქველმოქმედო სალამოსი საკონცერტო განყოფილებით ქ.—შ. წერა-კითხვის გამ ვრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სასარგებლოდ.

ბილეთების გაყიდვით შემოვიდა—433 მ. 55 კ., პროგრამების, ყვავილების, ჩაის, შამპანიურის და წიგნების გაყიდვით, შემოსწირე: ქ-ნ შულგინამ—25 მ., ა. ნ. ა. სლავოჩინსკიმ—20 მ., პ. ი. გოკიელოვმა—15 მ. თითო თუმანი: დ. ბ. ხელთუფლიშვილმა, თვ. ა. დ. წერეთელმა, უგან. თავ. უჩა დადიანმა, კნ. ე. ო. კოჩაკიძისამ და ი. გ. ანჯაფარიძემ. გენერლის ვერეშჩაგინის მეუღლემ 6 მ.; ხუთ-ხუთი მანეთი: ა. ა. მაკაროვისამ, ი. გ. აბაშიძემ, თავ. ი. ზ. მელიქოვმა, ნ. და ს. ჯორჯიკიებმა, ლ. და ვ. კოკოჩაშვილებმა, კ. ა. მხეიძემ, კ. ნ. საპიცკიმ, თ. ვ. ჯაყელმა, ვ. ნ. ავდეევმა, ს. დ. ჯაფარიძემ. სამ-სამი მანეთი. გ. ს. რელიგიონმა, ა. ზ. გალუსტოვმა. ი. კ ზისერმანმა, თავ. ე. ი. წულუკიძემ, კნ. პ. ა. თუმანიშვილისამ, დონ-დამიანმა, საკოვმა, პ. ი. კოკოჩევმა, თავ. ა. მ. ლორთქიფანიძემ, გ. თ. ნანეიშვილმა და ა. ს. პოკორსკიმ, ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბამ—2 მ. 50 კ., მ. ა. პუზინსკიმ—2 მ., პრემია გ. ფ. ზდანოვიჩისაგან 2 მ., ექიმ ტყეშელაშვილისაგან 90 კ. სულ შემოვიდა—803 მ. 75 კ.

დაიხარჯა: ქუთაისის კლუბის დარბაზის ქირად 110 მ., საოპერო არტისტ ქალს ო. ა. შულგინას—100 მ., ორკესტრს, ზურნას და მანდოლინაზე დამკვრელებს—30 მ., ბანბანერკა—წიგნები, კანფეტები, ყვავილები და სხ.—75 მ. 16 კ., ანონსები, აფიშები, მოსაწვევი ბილეთები და პროგრამები—38 მ. 30 კ, დურგლების ქირა, ტელეგრამების გაგზავნა, ნოხების და სხვა ნივთების მოტანა, შეკრიკებს და მოსამსახურეებს—21 მ. 40 კ. სულ დაიხარჯა 398 მ. 71 კ.

წმინდა დარჩა 405 მ. 4 კ. ეს ფული და აგრეთვე წიგნები, ბონბონერკები, კოლინკორი და ხის მასალა, რომელიც სალამოზე გაწყობილ კიოსკს გადარჩა, გადაეცა წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობას.

განყოფილების გამგეობა და სალამოს გამწყობი თავიანთ სასიამოვნო მოვალეობად სთვლიან გულითადი მადლობა მოახსენონ: ცნობილ მომღერალს დ. ვ. აკოფაშვილს, არტისტებს ნ. ჩხეიძეს და დ. მესხს, რომელთაც სიამოვნებით და უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა სალამოში; ქ-ნ ნ. ჩარექოვისას, ქ-ნ ნ. კაიალოვისას, ქ-ნ ლ. კუპანეიშვილისას, ბ-ნთ ლ. კარაგოზიანს, ვ. ფუქენკოს, გ. პოლშინს, კ. ტეპცოვს და გ. ვინოგრადოვს, რომელთაც მხურვალე მონაწილეობით ხელი შეუწყეს საკონცერტო განყოფილების ჩინებულად ჩავლას და აგრეთვე ქუთაისის ვაჭართ, რომელთაც შემოსწირეს ნივთები და სხვა და სხვა სასმელები; ყველა იმათ, ვინც სალამოს ვერ დაესწრნენ, მაგრამ თავიანთ წვლილი მაინც გამოგზავნეს; ვინც სალამოზედ დასწრებით ხელი შეუწყო სალამოს და აგრეთვე სალამოს გაწყობაში უახლოეს თანამშრომელთ.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ქუთაისის განყოფილების გამგეობა.**

სალამოს გამწყობი **სოფიო ფოსტუნატის ასული კოკოჩაშვილისა.**

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ჩემს შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში: „დროების" მე 13 ნომერში მოთავსებული იყო წერილი სურამიდან მოსწავლესი. იგი, სხვათა შორის, ეხებოდა საადგილ-მამულო საკითხს და აპობდა: „ხიდოკები" აქეთ მხარეებსაც სწვევიან და სწვევიან შემძლე მემამულეებს... ამ ჟამად იყიდება საკმაოდ მდიდარი მამულები ჩხეიძეებისა. ეს ადგილები სოფლელთათვის იგივეა, რაც წყალი თევზისთვის. იტრია, ზეკოტა, ჩუმათელეთი ჩხეიძეების ადგილებით სცოცხლობენ. თუ მართლა ეს ადგილები რუსებს დაუთმეს, საქმე მეტად გამწვავდება. ჩხეიძეების ოპეკუნი ინტელიგენტი კაცია და უნდა ესმოდეს, რომ ასე განწირვა ხალხისა არ შეიძლება". რადგანაც ეს საყვედური მოპართულია ჩემზე, როგორც ვითომდა „ოპეკუნზე", ამიტომ საჭიროდ ვცნობ ვსთქვათ, რომ დაბა სურამში არავითარ „ხიდოკების" ჭაჭანება არა ყოფილა და თვით მემამულენიც სრულიად არა ფიქრობენ მათ გაცნობას, რადგან ესმით, თუ რა ხილს წარმოადგენენ ისინი.

არც ერთს სურამელ მემამულეს ფიქრადაც არ მოსვლია უცხოელებზე მამულის გაყიდვა. ისინი, პირიქით, ყოველსავე ღონეს ხმარობენ, მამული გლეხებს მიჰყიდონ, და იყო კიდეც რამდენიმე ასეთი შემთხვევა. მაგალითად, წერილის ავტორისაგან ყბად აღებული „ოპეკუნი", როგორც ვექილი და არა „ოპეკუნი" მამულე ჩხეიძეებისა (ჩხეიძეებს „ოპეკუნი" აღარ სჭირდებათ, წლოვანობა ნებას აძლევთ თავიანთ მამული თითონ განაგონო), დიდი ხანია სამას-ოთხმოც დესეტინა მამულს წიფის აგარაკში უკვე მოურიგდა სოფელ წიფაში მცხოვრებ გლეხებს, რიცხვით ორმოც კვამლს. საჭირო ქაღალდები უკვე წარდგენილია საგლეხო ბანკში და საქმე შეჩერებულა მხოლოდ იმის გამო, რომ ხსენებული მამული გამოსაყოფი იყო მეორე მონაწილისაგან, რისთვისაც მე ჩხეიძეების ხარჯით მოვიწვიე მიწის მზომელი და დღეს თუ ხვალ საქმე გათავებულად ჩაითვლება. იმავე „ოპეკუნს" დღეს მოლაპარაკება აქვს სოფელ იტრიის მცხოვრებლებთან ასი დესეტინა მამულის სყიდვაზედ, იტრიის აგარაკში, და ყოველსავე ღონეს ხმარობს მათ დასაყოლიებლად. ივანე და ირაკლი დავითის-ძე აბაზაძეებმა უკვე მიჰყიდეს ასი დღიური მამული სოფელ ურთხაში მცხოვრებ გლეხებს. სურამში მცხოვრები მემამულე სევასტი კორძაია, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, უკვე მორიგებია წაქვაში მცხოვრებ გლეხებს ოთხას დესეტინა მამულზე. იყო სხვა წვრილი მაგალითებიც. ყველა ეს ღირსშესანიშნავი იყო გაზეთის ფურცლებზე სხვა მემამულეთა საყურადღებოდ, მაგრამ წერილის ავტორმა დაივიწყა ეს და სხვა რამეებზე დაიწყო ლაპარაკი.

**როსტომ დ. ჩიკვაიძე.**

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩვენ მოწოდებას.

რადგან მდაბიო ხალხში სურვილი აღიძრა წერა-კითხვისა და სახსარი კი არ მოეძებნება, ამიტომ მივმართავთ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს როგორც ქართულის ისე რუსულ-სომხურისას აგრეთვე წიგნის მაღაზიების გამომცემელთ და ქველმოქმედთ, ხელი შეუწყონ ცხინვალის ღარიბ სამკითხველოს. ყოველი შემოწირულება მადლობით მიიღება და ფოსტის ხარჯსაც სამკითხველო იკისრებს.

ვთხოვთ ეს მოწოდება სხვა ადგილობრივმა ჟურნალ-გაზეთებმაც გადაბეჭდონ.

ცხინვალის ბიბლიოთეკის კომიტეტის მონდობილობით

**დავით ჯავახიშვილი.**


# განცხადებანი

## დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია

7 მ. 25 კ. ერთ კოლეჯში ... [illegible] (Мотль и К. N 11208). (3—6—2)

**ექიმი ვ. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში** ... [illegible] ... დილის 9—11 ს., საღამოს 6—7 საათ. ... (5—34)

**იაფად იყიდება** ორთქლით სახრეხი **ქარხანა** ... [illegible] ... (3—152—2)

**მიიღება ხელის მოწერა** ორ-კვირეულ ჟურნალ ესპერანტოზე ... [illegible] ... ყვების და წინადადებების ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზე ... [illegible]

წელიწადი 1 მან. რუსეთში

## „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲘᲡ ᲔᲡᲞᲔᲠᲐᲜᲢᲘᲡᲢᲘ"

„KAIKAZA ESPERANTISTO"

... [illegible] ... Тифлисъ, Панасевича ул., № 1. Айку Тер-Аствацатрину. (3—2)


სტამბა „სინათლე" რაჭის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბულაძე.